ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 17 – 18 ნოემბერი, 2018

№273 (7818)

ფასი: 60 თეთრი

„ყელი და ტანი მთლიანად გადაჭრილია“ ემილ ხოფერიამ ქუთაისის ციხეში თავი მოიკლა

გვ.7

„სააკაშვილმა ივანიშვილს არჩევნები სკაიპით მოუგო“

„ოცნება“ ბელადისთვის ფულის გამოძალვაზეა გადასული“

გვ.2

ჯელალ ქიქავა: „კავკასიას 20 წელიწადში ერთხელ სჭირდება დიქტატორი“

მამუკა ტუსკაძე: „სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურს დიდი ანგარიშით მოიგებს“

გვ.5

„სანაძლეოს დავდებ, რომ ნაციონალები 600.000-ზე ნაკლებ ხმას მიიღებენ“

„ახალი ბილბორდები „ოცნების“ უკანასკნელი გაფართხალებაა“

გვ.4

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი დღეს თავად აკეთებს იმას, რის გამოც სააკაშვილს აკრიტიკებდა“

„ოცნებამ“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნოს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ჯობდა, ბილბორდებზე ზურაბიშვილი და ივანიშვილი ერთად ყოფილიყვნენ“

სამართალი

გვ.7

149 დაზარალებულს 44 მილიონ ლარამდე ღირებულების ქონება დაუბრუნდა

შვედეთში ქართველი მამაკაცის სხეულის ნაწილები მდინარესთან იპოვეს

დაკავებულია რუსეთის მოქალაქე

ხობში ხანძარს 85 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა

იგოეთთან ოპელი გზიდან გადავარდა

4 მგზავრი დაშავდა

ეკონომიკა

გვ.6

სტატისტიკის თანახმად, საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი გაჭირვებული ადამიანი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობს

6 წლის შემდეგ ქართული ოცნება დაუსაბუთებელ დაპირებებს აგრძელებს

2019 წლის ბიუჯეტი: ხელფასები და სოციალური დახმარებები იზრდება

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებულ აფხაზეთს ევროკავშირთან თანამშრომლობა არ უნდა

2 ნინო გოგუაძე: „ალასანია როცა დაბრუნდება, ჩვენს პარტიაში დაბრუნდება“

3 ომარ ნიშნიანიძე: „ივანიშვილი თვალებით გვეუბნება, მეც გადამარჩინეთ და თქვენი თავებიცო“

8 თეთრ სახლში საკადრო ცვლილებები მზადდება

„სააკაშვილმა ივანიშვილს არჩევნები სკაიპით მოუგო“

შორენა მარსაგიშვილი

„ოცნება“ ბელადისთვის ფულის გამოძალვაზეა გადასული“

რას უმტკიცებს მმართველი პარტია ივანიშვილს, როგორ გადაიქცა მეფე ვეზირად, რატომ უნდა დამყარდეს წესრიგის დიქტატი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატია და სამართლიანობის პრინციპების“ თავმჯდომარე **ჯელალ ქიქავა** ესაუბრება.

– სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერ პლაკატებზე „ოცნების“ სხვადასხვა ლიდერების გამოსახვას ერში დიდი მხიარულება მოჰყვა. თქვენც გაგამხიარულათ ამ ამბავმა?

– ამ ამბავმა მე ძველი დრო და ასლან აბაშიძე გამახსენა. მმართველობის დასასრულს მას უარი უთხრეს პიარშიკებმა რჩევების მიცემაზე, ფული აღებული ჰქონდათ და ფეხებზე ეკიდათ, რას იზამდა ასლანი.

ის, რაც სალომე ზურაბიშვილის ბილბორდებზე ვიხილეთ, არც ერთი პიარშიკის ნამუშევარი არ არის. ეს არის ბიძინას ნააზრევი, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნის მეფეა.

– საიდან მოიტანა, რომ მეფეა?

– საიდან მოიტანა და გარემოცვამ დაარწმუნა. ეუბნებოდნენ, შენ მეფე ხარ და ხალხი აუცილებლად დაგიჯერებსო. ამანაც დაიჯერა, რომ მეფეა და სალომეს ბილბორდებზე გამოფინა თავისი სურათები.

– სალომეს ბილბორდებზე ივანიშვილის გარდა, „ოცნების“ სხვა ლიდერების ფოტოებიცაა. ისინიც მეფეები არიან?

– რაის მეფეები, კლოუნები არიან ეგენი. სადაც ერთი კლოუნი გამოიფინა, ბარემ სხვებიც იყვნენ იქ. მარტო თავად ხომ არ იკლოუნებდა, მთელმა პარტიამ გაუწია ამ საქმეში პარტნიორობა. მთავარი უბედურება ისაა, რომ ამას თავი მეფე ჰგონია.

– რანაირად ჰგონია თავი მეფე, სად გაგონილა, მეფის სურათის გასწვრივ სხვისი სახელი და გვარი ეწეროს. „ოცნების“ ბილბორდებზე სალომე ზურაბიშვილი წერია, სურათი კი სხვისია.

– მაგას არ გეუბნებით მეც? ტიპს თავი მეფე ჰგონია. ხედავთ, რა დონეზე აქვთ გარეკილი, რომ საკუთარ სურათზე დააწერინა, სალომე ზურაბიშვილიო.

ასეთი რამეები საქართველოსთვის უცხო არ არის. ეს ჩვენ ასლან აბაშიძის დროს და 2012 წელს გავიარეთ. ახლაც იგივე სცენარით მიდის ყველაფერი. უკვე ზეპირად ვიცით, რის მერე რა მოხდება. ვინც მხარს უჭერდა, ისინიც კი დაკარგა.

– ამბობენ, რომ პირიქით მოხდა და ნაციონალების დაბრუნების შიშით, მეორე ტურში „ოცნებას“ ბევრად მეტი ადამიანი დაუჭერს მხარს.

– რაის მეტი ხალხი დაუჭერს მხარს? კარდაკარ დავდივართ და კარგად ვიცით ხალხის განწყობა. ვისთანაც ვიყავით, ყველა გვეუბნება, რომ მეორე ტურში აუცილებლად წავლენ არჩევნებზე.

– არჩევნებზე მისვლა ერთია და თქვენი კანდიდატის მხარდაჭერა მეორე.

– ისინი გვეუბნებიან, რომ ხმას გრიგოლ ვაშაძეს მისცემენ. ახლავე გეტყვით, რომ არჩევნები 70:30-ზე დამთავრდება.

– ვის სასარგებლოდ?

– ვაშაძე აიღებს 70%-ს, 30% შეხვდება სალომეს.

– ზემოთ ასლან აბაშიძე ახსენეთ, რატომ იმეორებს ივანიშვილი მის შეცდომებს?

– შეცდომებს თავად არ უშვებს, აგონიაშია და აგონია აკეთებინებს ასეთ რამეებს. ივანიშვილმა ელემენტარულად ის არ იცის, რას ფიქრობს ხალხი. ის მოსახლეობას არ ხვდება.

– მოსახლეობას მისი გარემოცვა ხვდება და მათ შეუძლიათ ამბის მიტანა.

– ამბავი მიაქვთ, მაგრამ არ ეუბნებიან, რას ფიქრობს სინამდვილეში ხალხი, ტყუილებს უყვებიან.

– მაინც რას ეუბნებიან?

– ეუბნებიან, რომ მეფეა. არადა არაა მეფე. ერთ წუთში გახდა ვეზირი. რანაირი მეფეა, მიშა სკაიპით უგებს არჩევნებს. ამ ვითომ მეფეს ფულის შოვნის ტვინი აქვს მარტო.

– ფულის შოვნის ნიჭი არ არის პატარა საქმე.

– პატარა საქმე არ არის, მაგრამ ამ ნიჭით ქვეყანას ვერ მართავ. შეიძლება შენ იყო მაგარი ბიზნესმენი, შეიძლება გქონდეს ფულის მახე, მაგრამ ვერ მართო ქვეყანა. ქვეყნის მართვას სხვა გაქანება სჭირდება.

ფულის შოვნა კი შეუძლია ამ ადამიანს, მაგრამ მისგანაც ბევრ ფულს შოულობენ ვიღაცები. რაღაც აქციები რომ ტარდება, იმის მიზანიც ფულის გაკეთებაა და მეტი არაფერი.

– რომელი აქციები გაქვთ მხედველობაში, არამიშას რომ იძახიან?

– დიახ, მაგ აქციებზე მოგახსენებთ. ყველა აკეთებს ფულს. იმაზე არიან გადასული, რაც შეიძლება მეტი ფული გამოსძალონ ბიძინას. მაღე ყველაფერი მთავრდება და უნდათ, რომ ფული მაინც შერჩეთ.

– ცოტა დაუჯერებელია, რომ ვინმემ ბიძინას ფული გამოსძალოს.

– სძალავენ და ეგაა. ახალი პლაკატების დაბეჭდვა ვინც მოიფიქრა, იმანაც იშოვა ფული, ფულს აკეთებენ ისინიც, ვინც მხარდამჭერ კონცერტებს ატარებენ. ნანა კაკაბაძემაც გადაწყვიტა, ფული ეშოვა.

– ნანა კაკაბაძე რა შუაშია?

– სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი საიდუმლო შტაბი შექმნა. დაპირდა ივანიშვილს, ხალხს შეგიგროვებო, როცა ვერ შეაგროვა, თავად დარეკა რუსთავი 2-ში, არიქა გვამხილეთო.

მოკლედ რომ გითხრათ, ბიძინას ფულს სწოვენ და ეს ცხოვრება ცირკად გადააქციეს. ცირკი რომ არ იყოს, ჩახუტების თუ მოფერების აქციას მოიფიქრებდნენ.

– ეს აქცია კი დააანონსეს, მაგრამ არავის არსად ჩახუტებიან. აჭარაშიც იგივე სიტუაციაა?

– რაის ჩახუტება? მაგის თავი სადღა აქვთ. თავის ქალებს ვეღარ მოფერებიან და სხვა მოაფერებიებს ამათ თავს.

– მოფერება-ჩახუტება არ შედგა, მაგრამ მეორე ტურის წინ ცემა-ტყეპა ხომ არ იქნება?

– არც ცემა-ტყეპა არ იქნება. იმათ კი უნდათ, მაგრამ ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ.

– მათ საკმაოდ სერიოზული კამპანია აქვთ, ვაშაძე თუ მოიგებს, ნაცები დაბრუნდებიანო. ეს არ იმოქმედებს ხალხზე?

– რანაირად უნდა გამოიღოს შედეგი? ნაცები რომ დაბრუნდნენ, რა არის ამაში ტრაგიკული? ხელისუფლება ისედაც ნაციონალებით არაა სავსე? არავინ არავისზე შურს არ იძიებს. დაისჯებიან მხოლოდ ისინი, ვინც კანონი დაარღვია.

– ამას თქვენი ოპონენტები რევანშს ეძახიან.

– ეს არ იქნება რევანში. კანონს როცა არღვევ, იმისთვისაც უნდა იყო მზად, რომ პასუხს აგებ. დაჭერის რომ მეშინია, მაგიტომ არ მივდივარ ბანკში და არ ვაყაჩაღებ. სახელმწიფო ვერ აშენდება, თუ ხალხს კანონის დარღვევის არ შეეშინდება.

რევანში არავითარ შემთხვევაში არ იქნება. უდანაშაულო ადამიანების ციხეში მოხვედრა დაუშვებელია.

– ხშირ შემთხვევაში სწორედ უდანაშაულო ადამიანები იჩაგრებიან.

– სამწუხაროდ, ასეთი რამეები ხდება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ნინო გოგუაძე: „ალასანია როცა დაბრუნდება, ჩვენს პარტიაში დაბრუნდება“

„ეს ადგილი, სადაც ჩვენ ვართ, ძალიან მძიმე ადგილია, მაგრამ არასდროს წავალთ პრინციპების წინააღმდეგ“

იაგო ნაცვლიშვილი

თავისუფალი დემოკრატების ყოფილმა ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა, რომ პოლიტიკურ პროცესში ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრუნდება. ჩიქოვანმა თავისუფალი დემოკრატები სხვა არაერთ ლიდერთან ერთად პარტია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა.

რას ფიქრობს ყოფილი თანაპარტიელის გადაწყვეტილებაზე, ხომ არ უნდა ველოდოთ პარტიის ყოფილი ლიდერის ირაკლი ალასანიას დაბრუნებასაც და რატომ არ უჭერს პარტია საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს არც ერთ კანდიდატს? – ამ საკითხზე „ახალი თაობა“ თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს **ნინო გოგუაძეს** ესაუბრა.

– ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ თქვენი ყოფილი თანაგუნდელის გადაწყვეტილებას?

– მე მის გადაწყვეტილებას არ შევაფასებ. ჩვენს გადაწყვეტილებას გეტყვით. 2016 წლის 8 ოქტომბრის მერე, როდესაც თავისუფალმა დემოკრატებს არ გადაგვალახინეს ბარიერი, პარტიიდან ძალიან ბევრი ადამიანი წავიდა. რამდენიმე დღე ამ პარტიაში მარტო დავრჩი. სწორედ იმიტომ, რომ ისე არ მომხდარიყო, როგორც ვიღაცას უნდოდა და პარტია არ დაშლილიყო. ზოგმა მაშინვე გამოუცხადა მხარდაჭერა საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ოცნებას“.

– მათ შორის ირაკლი ჩიქოვანი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, იმ ბრიფინგზე ნამდვილად არ ყოფილა.

– დიახ. ამიტომ ვამბობ, რომ ნაწილმა მაშინვე გამოუცხადა მხარდაჭერა „ოცნებას“, ხოლო ნაწილს 2 წელი დასჭირდა ამისთვის. მოულოდნელი უკვე აღარაფერია ჩემთვის, მაგრამ მისი ეს გადაწყვეტილება მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის. იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილებაზე არანაირი ინფორმაცია არ მქონდა. არც ჰქონია მას ამის ვალდებულება. არ მქონია მასთან კომუნიკაცია, რომ მას თავი ვალდებულად ჩაეთვალა, რომ ჩვენთვის ეს გადაწყვეტილება შეეტყობინებინა.

გუშინ გაჩნდა ნარატივი, რომ თავისუფალი დემოკრატები შეიძლება დაბრუნდნენ კოალიციაში და ნახსენები იყო ირაკლი ალასანიას სახელი. ამიტომ ჩავთვალე თავი ვალდებულად, რომ მეთქვა ჩვენი მკაფიო პოზიცია, რომ თავისუფალი დემოკრატები „ქართული ოცნების“ პრინციპული ოპოზიცია ვართ. ბევრისგან განსხვავებით, კოალიციიდან არავის დავუთხოვივართ. საკუთარი გადაწყვეტილებით წამოვედით, რადგან ამ ხელისუფლებამ გადაუხვია იმ პრინციპებიდან, რასაც ჰქვია სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფო და მისი მმართველობა დაადგა მანკიერ გზას.

ჩვენ 2012 წელს ნაცმოძრაობას მარტო იმიტომ კი არ ვებრძოდით, რომ მისი ძალადობრივი ხელისუფლების შეცვლა გვინდოდა. არამედ იმიტომაც, რომ სახელმწიფო სამართლებრივი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დაგვეყენებინა.

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მთავარი ღირებულება ადამიანი უნდა იყოს, დამყარდეს კანონის უზენაესობა, სასამართლო და მედია და დამოუკიდებელი უნდა იყოს და ბევრი ასეთი რამე.

დღეს ეს ყველაფერი საბრძოლველია. „ქართულმა ოცნებამ“ ნაცმოძრაობისგან ბევრი ასეთი სისტემა გადმოიბარა. მათ შორის ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც ნაციონალების დროსაც მუშაობდნენ ამ სისტემაში.

– პარტიიდან წასულ ადამიანებთან ურთიერთობა აღარ გქონიათ?

– გააჩნია ვისთან. ირაკლი ალასანიასთან ძალიან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ირაკლი ალასანიამ აიღო პაუზა პოლიტიკიდან და თუ ის დაბრუნდება პოლიტიკაში, დაბრუნდება თავისუფალ დემოკრატებში. მისი „ოცნებასთან“ კოალიცია გამორიცხულია. მისი დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ვიღაცებთან მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული მაქვს ურთიერთობა, მაგრამ იმ ადამიანებთან, ვინც პირდაპირ „ქართული ოცნების“ სამსახურში გადავიდნენ, არანაირი პირადი კომუნიკაცია არ მაქვს.

– ირაკლი ალასანიას „ოცნებაში“ დაბრუნება ძნელად წარმოსადგენია მისი პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ ისმის ხოლმე კითხვები. იგივე გორში, სადაც კენჭს იყრიდა, იქ ადამიანები იმედგაცრუებულები არიან ამის გამო და თვლიან, რომ ალასანიამ მიატოვა მისი ამომრჩეველი.

– ძალიან ვწუხვარ ამის გამო. მე ამ ადამიანებს ბოდიშს ვუხდი, ვინც თავს მიტოვებულად გრძნობდნენ. სრულიად უთანასწორო ბრძოლაში ირაკლი მეორე ადგილზე გავიდა და იყო მეორე ტური, მაგრამ ამ დროს პარტიაში განვითარდა ურთულესი პროცესები. ეს პროცესები დაბრუნდა ამ ადამიანების ხმაურიანი წასვლით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროცესები დიდი ხანია პარტიაში მიდიოდა.

ალასანიამ იმ მომენტში თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ პაუზა აეღო პოლიტიკიდან და არ მიეღო მეორე ტურში მონაწილეობა. რასაკვირველია, ამ ადამიანების რაღაცნაირი სინანული მესმის. მეორე ტური როგორც დამთავრდებოდა, ყველას კარგად გვესმოდა, მაგრამ ამის გამო არ წასულა. ურთულესი ადამიანური და პოლიტიკური დარტყმა მიიღო მან და იგი უბრალოდ წავიდა, რადგან პარტიაში განვითარებული პროცესები პირად პასუხისმგებლობად აღიქვა და ამიტომ გავიდა რამდენიმე წლით პოლიტიკიდან.

ეს არ იყო მხოლოდ გორის ამბებით განპირობებული. გაცილებით დრამატული ვითარება განვითარდა პარტიაში.

– ანუ ხმები, რაც იქამდეც გამოდიოდა თქვენი პარტიიდან, მართალი იყო, რომ გუნდში იყო დაპირისპირება თუ არა აშკარა აზრთა სხვადასხვაობა მაინც?

– ვერ გეტყვით. ამ ხმებზე არ მსურს ვიმსჯელოთ. ფაქტია, რომ ეს ადამიანები არ აღმოჩნდნენ მზად ოპოზიციური საქმიანობისთვის და ხელისუფლებისგან დისტანცირებისთვის. როგორც ჩანს, მათ ხელისუფლებაში ყოფნა ჰგონიათ პოლიტიკა. მე და ჩემს პარტიას კი მიგვაჩნია, რომ პოლიტიკაში უნდა იყოს ღირებულებების და პრინციპების ერთგულებისთვის და სწორედ იმდენი ადამიანის ინტერესებს უნდა ითვალისწინებდე, რა რაოდენობის ამომრჩეველიც გყავს.

მე ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკაში წავიდოდი, მაგრამ წავე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ჯობდა, ბილბორდებზე ზურაბიშვილი და ივანიშვილი ერთად ყოფილიყვნენ“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ბილბორდებიდან გაქრობას და ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი კობახიძის გამოჩენას როგორ აფასებთ?

– ეს არის „ქართული ოცნების“ სტრატეგიული გადაწყვეტილება. რაღაც ხომ უნდა შეეცვალათ და გადაწყვიტეს, რომ საერთოდ გაექროთ სალომე ზურაბიშვილი. მე არ ვარ პიარ-ტექნოლოგი, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო ნორმალური იქნებოდა, სალომე ზურაბიშვილი და ბიძინა ივანიშვილი ერთად გამოჩენილიყვნენ ამ ბილბორდებზე, საერთოდ გაქრობა არ მგონია სწორი გადაწყვეტილება იყოს.

– სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატიაო, ხომ გვეუბნებოდნენ, რამდენად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა ამომრჩევლისადმი?

– სიმართლე გითხრათ, არც არასდროს მჯეროდა და არ მითქვამს, რომ სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატია და ის არ არის „ქართული ოცნების“ კანდიდატი. ისევე, როგორც არ მჯეროდა და არ მითქვამს, რომ გრიგოლ ვაშაძე არის გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი და არ არის ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი. ამ კუთხით ორივე კანდიდატის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამომრჩეველს, ელექტორატს ეუბნებიან იმას, რაც რეალობის მიღმაა.

– რა მოცემულობა შეიძლება გვქონდეს მეორე ტურის შემდეგ? როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს ერთ ან მეორე შემთხვევაში?

– ძალიან რთული იქნება მეორე ტური. საუბარი არ არის, რომ არჩევანი მარტივად აქვს გასაკეთებელი ამომრჩეველს, თუმცა, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რანაირი არჩევნები გვექნება, როგორ არჩევნებს ჩაატარებს „ოცნება“.

– რას გულისხმობთ?

– გაყალბებას. ჩემთვის ამ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორი იქნება საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები და მათი დასკვნები და არა – ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, რომელთა რეპუტაციაც შეირყა.

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეძლოს დამატებით 300 ათასი ამომრჩევლის მობილიზება. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მილიონ 600 ათასმა ამომრჩეველმა. 750 ათასი ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს, მაგრამ მას დამატებით სჭირდება 250-300 ათასი ამომრჩეველი.

მათი მობილიზება ამ გადმოსახედიდან ძალიან რთული მეჩვენება. სწორი მუშაობის და სწორი დაგეგმარების შემთხვევაში ეს შესაძლებელია, მაგრამ მე ჯერ ამ სწორ ნაბიჯებს ვერ ვხედავ.

ოპოზიციის ამომრჩეველი ყოველთვის მოტივირებულია და ამ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას არ გაუჭირდება თავისი ამომრჩევლის მობილიზაცია. ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს ყოველგვარი დამატებითი კითხვების გარეშე დაემატება „ევროპული საქართველოს“ ამომრჩეველიც.

„ქართულ ოცნებას“, როგორც ხელისუფლებას, მაღალი ლეგიტიმაცია სჭირდება. თუ სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურსაც მხოლოდ 1%-ით მოიგებს, მაშინ ოპოზიციას წინ ვერაფერი აღუდგება და ის აუცილებლად იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა. ამას იტყვის იმ შემთხვევაშიც, არჩევნები ზედმიწევნით სამართლიანად რომ ჩატარდეს. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი ლეგიტიმაცია.

ამ შემთხვევაში ოპოზიცია აუცილებლად გამოვა ქუჩაში და პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი ქუჩაში გადაინაცვლებს.

– თუ ოპოზიციამ მოიგო, მერე რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს?

– ყველა შემთხვევაში სცენარი ქუჩამდე მიდის, რადგან ოპოზიციის მოგების შემთხვევაში საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო აიწევს.

– რატომ, მათ ხომ არჩევნები მოგებული ექნებათ?

– და რას აძლევთ პრეზიდენტის ინსტიტუტი მათ?! არაფერს. ოპოზიციას ხელს არ აძლევს პრეზიდენტის ინსტიტუტი. ამიტომ, ისინი სწორედ ამ ტალღაზე ამ მაღალ საპროტესტო მუხტს გამოიყენებენ და შეეცდებიან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, მაშინ ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო კოდექსის ცვლილებას კი არ მოითხოვს და პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებას, პირიქით, არსებული მოდელი უფრო აწყობთ და არსებული მოდელით ჩაატარებენ არჩევნებს.

ეს იქნება ყველაზე ცუდი სცენარი ქვეყნისთვის. მე არ მჯერა ნაციონალური მოძრაობის ფერიცვალების, არ მჯერა სავლეს პავლედ გადაქცევის. ამიტომ „ქართული ოცნება“ მზად უნდა იყოს ყველა სცენარისთვის და ამ სცენარებს უნდა ამუშავებდეს.

– თუ ასე განვითარდა მოვლენები, მაშინ ხელისუფლების პოზიცია რა უნდა იყოს?

– თავად „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ყველა შემთხვევაში დღეს ყველაზე მეტად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები „ქართულ ოცნებას“ აწყობს. თუმცა, ერთი ცხადია – მან უნდა შეცვალოს საარჩევნო კოდექსი და ვადამდელი არჩევნები პროპორციული წესით ჩაატაროს.

ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში „ოცნება“ ხელახალ ლეგიტიმაციასაც მოიპოვებს და იმ დაძაბულობასაც განმუხტავს, რაც შეიძლება იმ დროისთვის ქვეყანაში იყოს.

– თავის დროზე ეს პოლიტიკური სვლა მიხეილ სააკაშვილს აქვს გაკეთებული, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა, მან სრულიად მოულოდნელად ვადამდელი არჩევნები დანიშნა.

– დიახ, და ეს იყო სწორი პოლიტიკური სვლა.

ომარ ნიშნიანიძე: „ივანიშვილი თვალებით გვეუბნება, მეც გადამარჩინეთ და თქვენი თავებიცო“

„ქუთაისს არა აქვს იმხელა დამსახურება, აქაც რომ იყოს პარლამენტი?!“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გაუშვეს მმართველი პარტიიდან ძველი სახეები, რა შეცდომები იქნა დაშვებული, ვინ უნდა აგოს „ოცნების“ წარუმატებლობაზე პასუხი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ყოფილი დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

– „ოცნების“ ძველი გვარდიის სხვა წევრების მსგავსად, თქვენც დაბრუნდით გუნდში და 17 ნოემბერს აქციის ჩატარებასაც კი აპირებთ. თქვენ იმ გუნდს ეხმარებით, რომელმაც 2 წლის წინ გვერდზე გაგწიათ. ეს ნორმალურია?

– ნორმალურია, ეს ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ, ძველი გვარდია „ოცნებიდან“ არ წავსულვართ. დაუფასებლობამ გული კი გვატკინა, მაგრამ ეს არის და ეს. პირადად მე განაწყენებული არ ვარ. რაზე უნდა გავნაწყენდე? გინახიათ კაცი, რომელიც შეიძლება სამშობლოზე განაწყენდეს?!

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, გვერდში დავუდგეთ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ აქ საკითხავი ისაა, რატომ მივიდა გუნდი ამ მდგომარეობამდე. სანამ ამ კატასტროფულ სურათს მიიღებდნენ, მანამდე რატომ არაფერი იღონეს? ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

– „ოცნებაში“ რომ პრობლემები იყო, ამაზე თქვენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, პარლამენტის ტრიბუნიდან საუბრობდით, მაგრამ მაშინ ამის გამო კინაღამ ჩაგქოლეს.

– თვითკრიტიკა არავის მოსწონს. არ მესმის, რატომ არ უნდა გინდოდეს გუნდში სიმართლის მთქმელი კაცი? პრობლემებზე იმიტომ ვსაუბრობდი, რომ გული შემტკიოდა „ოცნებაზე“ და არა იმიტომ, რომ მტერი ვიყავი.

– პრობლემებზე მართალია საუბრობდით, მაგრამ გეგონათ, რომ საქმე აქამდე მივიდოდა?

– სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ ცუდი შედეგი დადგებოდა. ვიღაცებმა ისე გააჭენეს, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. ამას შეცდომების კასკადი მოჰყვა.

ეს სპეციალურად კეთდება, როგორც ხალხი ეჭვობს თუ უნებური შეცდომებია, ეს ცალკე საუბრის საგანია. ამის გარჩევა არჩევნების შემდეგ მოხდება.

– არჩევნების შემდეგ რატომ?

– არჩევნებამდე ეს ვერ მოესწრება და არც ამის დროა ახლა, არჩევნების შემდეგ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, ეს იყო უნებურად დაშვებული შეცდომები თუ სპეციალურად მოიქცა ვინმე ასე.

– საკითხის გარჩევამდე „ოცნების“ მხარდამჭერები ქვეყნის მასშტაბით აქციებს აწყობთ. თქვენც დააანონსეთ ერთი ასეთი აქცია.

– ეს აქცია 17 ნოემბერს ქუთაისში გაიმართება. სახალხო მოძრაობა „არა მიშას“ დაიწყო თბილისში და მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდა. სახალხო მოძრაობამ ქუთაისში უკვე გახსნა რამდენიმე ოფისი. ყველა თავისებურად ცდილობს, რომ ამომრჩევლებს მობილიზება გაუკეთოს.

საუბარია იმ ამომრჩეველზე, რომელიც შეიძლება განაწყენებულია ან ობიექტურად დარჩა სახლში. ძალიან დიდი რესურსია ხალხში, რომელსაც ძალიან კარგად ახსოვს, თუ რა გადაიტანა ქვეყანამ ნაციონალების მმართველობის დროს. ამ ხალხს გააჩნია მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნება და მათთან ერთად კიდევ ერთხელ დავაქუხებთ ქუთაისში არა მიშას, არა ძალადობას.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავუდგებით მმართველ გუნდს გვერდში. მე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. მე რომ გამინაპირებენ, იქ რაზე უნდა ვილაპარაკო. ჩემ უკან ხომ უამრავი ადამიანი დგას.

– ისე, მართლა უცნაური იყო, როცა თქვენ, თამაზ მეჭიაური, სოსო ჯაჭვლიანი პარლამენტის მიღმა დაგტოვეს. რატომ მოხდა ასე?

– ახლა ამაზე საუბარი არ მინდა. ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ პოლიტიკაში ის ხალხი უნდა იყოს, ვისაც სიტყვა ეთქმის და დებატები შეუძლია.

„ქართული ოცნება“ უამრავ კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ ეს ხალხამდე არ მიდის. სად არის პიარი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური? მათ ძალიან მაღალი ხელფასები აქვთ, მაგრამ თავის საქმეს არ აკეთებენ. დღევანდელ პარლამენტში „ოცნების“ გუნდიდან მხოლოდ 10-15 კაცი იბრძვის.

– დანარჩენები რას აკეთებენ?

– დანარჩენები რას აკეთებენ, არ ვიცი. არ შეიძლება გუნდში მხოლოდ რამდენიმე იბრძოდეს და სხვა ბალასტი იყოს. პოლიტიკა უპირველესად ხალხთან მიტანილ სიტყვას და ხალხთან მჭიდრო ურთიერთობას ნიშნავს. ამას რომ ვერ გაითვალისწინებ, მერე დაგიდგება ის შედეგი, რაც დადგა.

ახლა ისეთი შედეგი დადგა, რომ უკანდასახევი გზა არ არის. უკან არის საშინელება. ჩვენ მხოლოდ წინ უნდა გავიხედოთ. კიდევ კარგი. რომ ხალხი წამოგვყვა. მე მგონია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ გუნდზე ცოტათი მაინც ხართ ნაწყენი.

– ნაწყენი რა, პატარა ბავშვი ხომ არა ვარ, რომ გავიბუტო. გული იმაზე მტკივა, რომ აქამდე მივედით, არადა შეიძლებოდა, რომ ეს არ მომხდარიყო.

– რა შემთხვევაში არ დადგებოდა ეს შედეგი?

– საქმეში გამოცდილი ადამიანები თუ იქნებოდნენ ჩართული. თანამდებობას ხომ არ გთხოვ, გამომიყენე რა, შე დალოცვილო, რჩევა მაინც იკითხე. ყველაფრის მიუხედავად, მწამს, რომ კარგად დასრულდება ყველაფერი.

– პირველი ტური ვაშაძემ ქუთაისში მოიგო. მეორე ტურში შეძლებთ სურათის შეცვლას?

– რამდენიმე უბანში ჰქონდა მხოლოდ სალომეს უპირატესობა. დანარჩენი უბნები, სამწუხაროდ, სულ ვაშაძემ მოიგო. როცა ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნებს უყალბებს, ეს ნიშნავს, რომ ცოტა უნიათო ხარ.

მეორე ტურში საარჩევნო კომისიის ჩვენს წევრებს აუცილებლად შევაფხიზლებთ. იმათშიც რომ ღალატი იყო, ესეც აშკარაა.

– კომისიის წევრებმა უღალატეს „ოცნებას“?

– დიახ, კომისიებში ვიღაცებმა გვიღალატეს. ამას დაამატეთ გამოუცდელობა კიდევ. ჩაეტარებინათ ნორმალური კვლევები, განათლებული ხალხის მეტი რა არის. მაგრამ ვინც იყო, ისინი გარეთ გაყარეს, ასე არჩევნებს ვერ მოიგებ.

ახლა გვიწევს სირბილი და ტრიალი. უნდა გადავტეხოთ ნაცმოძრაობა და გადავტეხავთ კიდევაც ალბათ.

– ბიძინა ივანიშვილთან ხომ არ გქონიათ შეხვედრა?

– სამწუხაროდ არა. მქონდა მცდელობა, მაგრამ ვერ მოხერხდა.

– რატომ ვერ მოხერხდა?

– ისიც ორომტრიალშია, არ სცალია და ვერ შედგა ჩვენი შეხვედრა, მაგრამ ადრე იქნება თუ გვიან, მას აუცილებლად შევხვდები და ვეტყვი ჩემს გულისტკივილს. ვეტყვი ჩემს მოსაზრებას, თუ რამ გამოიწვია წარუმატებლობა. გაითვალისწინებს თუ არა, ეს მისი საქმეა.

მასთან შეხვედრა ჩემთან ერთად ძველი გვარდიის სხვა წევრებსაც უნდათ, ივანიშვილი გულწრფელი ადამიანია და ჩვენც ასევე გულწრფელად ვეტყვით მას სათქმელს. ამის გარდა, ის უნდა გავამხნევოთ.

– ივანიშვილს გამხნევება სჭირ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნონა ცაბაძე

„ახალი ბილბორდები „ოცნების“ უკანასკნელი გაფართხალებაა“

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი დღეს თავად აკეთებს იმას, რის გამოც სააკაშვილს აკრიტიკებდა“

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილის ბილბორდებზე გამოსახული ადამიანები თავიანთ წილ პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკურ პროცესებზე და ეს არის ამის მთავარი მესიჯი. რას იტყვით თქვენ?

– ეს არის უკანასკნელი გაფართხალება, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს აჩვენებს, რომ აბსოლუტურად მოსწყდა „ოცნების“ ხელმძღვანელობა რეალობას. მათ ჰგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ან „ოცნების“ რომელიმე პოლიტიკოსი არის ხალხისთვის მიმზიდველი და გამოჭიმეს ბილბორდებზე. ეს არის ივანიშვილის ნარცისიზმის გამოვლინება, რომელსაც უღვივებენ ის ადამიანები, რომლებიც არიან მიტმასნილი და სძალავენ ფულს.

– გარემოცვის გავლენის ქვეშ არის ივანიშვილი?

– მოუგონეს მას ასეთი სიტყვა, რომელსაც ჰქვია ჭარბი ნდობა და ატყუებენ, მოსახლეობაში მაღალი ნდობა კი არა, მაღალ ნდობაზე კიდევ უფრო მაღალი ნდობა გაქვსო. მასაც ჰგონია, რომ ამ თავისი ჭარბი ნდობით ჩამოკიდებს თავის პლაკატებს და ამით სალომე ზურაბიშვილს რაიმე ეშველება.

ისიც კი ვერ გათვალეს, რომ ეს იყო ძალიან დიდი შეურაცხყოფა.

– სალომე ზურაბიშვილის?

– დიახ. ვინაიდან საკუთარი სურათები გადააკრეს სალომე ზურაბიშვილის ბილბორდს. კაცი რომ დილით გამოივლიდა, სალომე ხვდებოდა, ახლა უცბად ივანიშვილი დახვდა და კიდევ ვიღაც სასაცილო ფიგურები. ამას დამატებული ისიც, რომ სალომე ზურაბიშვილს აუკრძალეს საზოგადოებაში გამოჩენა და საერთოდ კონტაქტი ადამიანებთან და ჟურნალისტებთან. მან უნდა ილაპარაკოს მხოლოდ დაწერილი ტექსტით და სადაც კი მივა, მას უნდა ჰქონდეს სტანდარტული პასუხი, რომ ის ამ საკითხებზე არ საუბრობს.

მის პასუხებში ჩანს სასოწარკვეთილი ადამიანის სახე, რომელიც ალბათ მიხვდა, რომ არ უნდა განეცხადებინა პრეტენზია პრეზიდენტობაზე და არ უნდა დათანხმებულიყო ივანიშვილს.

– იმდენად წამგებიანია, რომ „ოცნებამ“ ბილბორდებიდანაც გადამალა სალომე ზურაბიშვილიო. ასეა?

– დიახ, ასეა. ადამიანები ადეკვატურად და სწორად რეაგირებენ ასეთ რაღაცეებზე. დღეს „ქართული ოცნება“ თავისი ლიდერებით და ბიძინა ივანიშვილი თავის სალომესთან ერთად ძალიან სასაცილოდ გადაიქცა და ამაზე სწორი რეაქცია გამოხატა საზოგადოებამ და ყველა ხედავს, რა რეაქციები მოჰყვა ამ ბილბორდებს სოციალურ ქსელშიც.

იმდენად სწრაფად მოხდა რეაგირება სოციალურ ქსელში, რომ მეც კი წამძლია ცდუნებამ და ერთ-ერთ ბილბორდზე სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად ჩემი ფოტომონტაჟიც კი გავაკეთე.

– რას იტყვით არჩევნების თარიღთან დაკავშირებით? რატომ ჰქონდა ოპოზიციას ასეთი დიდი პროტესტი? რას ცვლის ოთხშაბათი დღე თქვენთვის, როდესაც ის უქმედ გამოცხადდა?

– ჯერ ერთი, შავზე თეთრით წერია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს კვირას.

– მეორე ტურში კანონი არ კრძალავსო...

– პირველი ტური ითვლება საპრეზიდენტო არჩევნებად და მეორე არა? ასეთი ინტერპრეტაციები ძალიან სასაცილოა. რა გამოდის, რომ ეს მეორე ტური საპრეზიდენტო არჩევნები არ ყოფილა, რისთვისაც ვემზადებით?! აბა რა არის ეს? რითი განსხვავდება პირველი ტური მეორე ტურისგან?

ეს სასამართლოში გასარკვევი საკითხია, მაგრამ დრო ცოტაა და ვერ ესწრება. ამის გადაწყვეტა შეიძლებოდა გონივრული პოლიტიკური ნაბიჯით, არ უნდა დანიშნულიყო სამუშაო დღეს.

იყო ასეთი მცდელობა, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა სამუშაო დღეს და შემდეგ საზოგადოებაში და არასამთავრობოებში გამოწვეული პროტესტის გამო ეს თარიღი შეცვალა. იმ დროს განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა მომაკვდინებელი არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლება, რომ არჩევნები დაინიშნოს სამუშაო დღეს.

რასაც მაშინ ამბობდა ბიძინა ივანიშვილი, იყო სავსებით სწორი და მე დღეს ამას გავიმეორებ.

– მის არგუმენტებს?

– დიახ და დღეს თავად აკეთებს იმავეს, რის გამოც სააკაშვილს აკრიტიკებდა.

არგუმენტი პირველი: არ შეიძლება იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის 40% არ ცხოვრობს რეგისტრაციის ადგილზე. დიდი ნაწილი არის უცხოეთში, დაახლოებით 700 ათასამდე და ასევე დიდი ნაწილი მუშაობს არა იქ, სადაც არის რეგისტრირებული. ამიტომ შეუძლებელია, რომ წახვიდე, მისცე ხმა და მერე უკან დაბრუნდე შენს სამუშაო ადგილზე.

მეორე ფაქტორი არის ის, რომ მობილიზება ადამიანებისა გაცილებით უკეთ შეუძლია ხელისუფლებას და ფულიან კანდიდატს. ფული ვისაც აქვს, ძალიან კარგად ვიცით.

ასევე ერთ-ერთი ფაქტორია უცხოეთში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მისცემს ხმას. ჯამში კი ეს ყველაფერი ემსახურება არჩევნების გაყალბებას.

– გაყალბებას როგორ, რა მექანიზმებით?

– შედარებით ნაკლები იქნება კონტროლი. თუნდაც უცხოეთში კომისიებშიც კი ვერ მოიყვანენ ადამიანებს, რადგან მათ არ შეუძლიათ დილიდან ღამის 12 საათამდე იქ ყოფნა. შესაძლოა, კომისიების დაკომპლექტების პრობლემაც კი შეიქმნას. ყველა ეს შედეგი რომ არ ჰქონდეს დათვლილი ხელისუფლებას, ისე არჩევნებს ამ დღეს არ დანიშნავდა.

ამ პროცესმა საბოლოოდ დაგვანახა, რომ ცესკო ივანიშვილის დაქვემდებარებაში იმყოფება. ეს ისედაც ვიცოდით, მაგრამ ეს დაადასტურეს. ძალიან სამარცხვინო ფაქტი მოხდა, როდესაც კალაძეს და „ოცნების“ სხვა ლიდერებს წამოსცდათ არჩევნების დღე. თამარ ჟვანიას, რომელიც გამოდის და ამაყად გვესაუბრება, უნდა ჰქონდეს სირცხვილის გრძნობა. ის არის მედროვე, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ხელს უწყობს არჩევნების გაყალბებას!

– მოვისმინეთ საპირისპირო შეფასებებიც, რომ ოპოზიციას ეშინია მარცხის და იმიტომ აქვს ამ ყველაფერზე ასეთი მწვავე რეაქციები. ამაზე რას იტყვით?

– ოპოზიციას არ დაუნიშნავს არჩევნების მეორე ტური ოთხშაბათს, დანიშნა ხელისუფლებამ! ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათ ძალიან ეშინიათ. ხელისუფლება დამარცხდა პირველ ტურში და მეორეშიც მათ უნდა ეშინოდეთ. მათ არავითარი რესურსი არ აქვთ, გარდა ასეთი ტოტალური მობილიზებისა, ძალადობისა, მოსყიდვისა.

რით უნდა მოიწონონ თავი? რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა. აგერ საარჩევნოდაც კი ლარი ვერ გაუმყარებიათ, როცა ბიძინა ივანიშვილს აქვს ამოდენა მილიარდები და შეეძლო, რაღაც ეღონა.

– რა უნდა ეღონა ივანიშვილს?

– თუნდაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში მაინც როგორმე გაემყარებინათ ლარი, მაგრამ, როგორც ჩანს, ისე მძიმედ არის მდგომარეობა, რომ ესეც არ შველის.

ხალხმა დაინახა საფრთხე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას, რომელიც ვერ შეძლებს ამ მოვალეობის შესრულებას მრავალი მიზეზის გამო. ისინი ხედავენ დასასრულს და ამიტომ ხმარობენ ყველა რესურსს და ხარჯავენ ამდენ შავ ფულს.

ყველა მაჟორიტარი თავის რეგიონშია გამწესებული და ყველას ემუქრება დასჯა და სამუდამოდ მოკვეთა, თუ საკუთარ რაიონში არ მოიგებენ. ეს მათი ბოლო გაბრძოლებაა!

ოთარ ნიშნიანიძე: „ივანიშვილი თვალებით გვეუბნება, მეც გადამარჩინეთ და თქვენი თავებიცო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დება?

– რა თქმა უნდა, სჭირდება. ისიც ადამიანია. კაცი თვალებით გვეუბნება, გადაირჩინეთ თქვენი თავი და გადამარჩინეთ მეცო. ხმამაღლა ამას ვერ იტყვის.

უშვეს რაღაც შეცდომები. არჩევნების წინ იმის თქმა შეიძლებოდა, პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში უნდა გადავიდესო? ისედაც თბილისშია საპარლამენტო ცხოვრება. ქუთაისში ისედაც თვეში ორჯერ, საჭმელად და თითის მისაჭერად ჩამოდიან და ესეც დაენანათ?

ჩამოდი რა, შე დალოცვილო, რა გეზარება, გეფერები, ხო არ გცემ. ქუთაისს არა აქვს იმხელა დამსახურება, აქაც რომ იყოს პარლამენტი?! ან თუ მაინც გადაგქონდათ თბილისში, არჩევნების წინ რას ამბობდით და რატომ აღიზიანებდით ხალხს.

ნაწყენი არ ვარ „ოცნებაზე“, მაგრამ ჩვენ რომ ჩაგვწიეს, ჩვენ ნაცვლად ჩვენს ადგილზე ჩვენზე უკეთესი ხომ უნდა მიეყვანათ? არ მიიყვანეს და შედეგიც მიიღეს.

რატომ მოხდა ეს, მომავალში გაირკვევა. ახლა მთავარი ამოცანაა, უკეთური და ბნელი ძალის დაბრუნება არ მოხდეს.

„ჩვენ რომ ჩაგვწიეს, ჩვენ ნაცვლად ჩვენს ადგილზე ჩვენზე უკეთესი ხომ უნდა მიეყვანათ?“

– რატომ ვერ იტყვის?

– ხმამაღლა ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მას შეიძლება მეტის თქმის უფლება არცა აქვს.

– „ოცნების“ წარუმატებლობის მიზეზად თქვენ რა მიგაჩნიათ?

– მიზეზი რამდენიმეა. პირველი მიზეზი არის კოაბიტაცია. ამან, ბოდიში გამოთქმაზე და პირდაპირ დედა გვიტირა და მოგვანიორწყლა. მეორე მიზეზი იყო საკადრო პოლიტიკა. მესამე მიზეზი ისაა, რომ ხალხთან ახლოს არ ვიყავით.

არის კიდევ რაღაც მიზეზები, რომელთაც აღარ ჩამოვთვლი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაცებმა შეგნებულად და-

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დი ირაკლი ალასანიას, ლევან მიქელაძის ხათრით და იმ პრინციპების ერთგულებისთვის. ჩემთვის მთავარი პრინციპები და ღირებულებებია.

– თქვით, რომ ალასანია ამ ეტაპზე არ დაბრუნდება პოლიტიკაში, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე დაბრუნდება? აკლია ის ქართულ პოლიტიკას.

– რასაკვირველია, აკლია. ამ კითხვაზე მე დღეს ვერ გიპასუხებთ. ალასანია თავად განაცხადებს, როდის დაბრუნდება. 2 წელია 2020 წლამდე, ვნახოთ. თუ დაბრუნდება პოლიტიკაში, დაბრუნდება თავის პარტიაში, ამის გარანტიას გაძლევთ.

– საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კოლეგები ნაცმოძრაობიდან გაკრიტიკებენ, რომ პროდასავლურ ოპოზიციას არ შეუერთდით. რა პასუხი გაქვთ?

– ძალიან ძნელად ვექვემდებარები კრიტიკას, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს. „ქართული ოცნება“ კოალიციიდან წამოსვლის დღიდან ნაციონალებს გვიწოდებს. საკუთარი პარტიის ნაწილიც კი დგებოდნენ ბანერებთან და გვამხელდნენ, თითქოს ნაცმოძრაობასთან ვიყავით შეკრული და ტოვებდნენ პარტიას, რითაც სუს-ის დავალებებს ასრულებენ. ვის ვგულისხმობ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. სხვადასხვა რეგიონალური ლიდერები და შტაბების წარმომადგენლები.

ახლა რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ჩვენ რომ ნაცმოძრაობის კანდიდატის

ნინო გოგუაძე: „ალასანია როცა დაბრუნდება, ჩვენს პარტიაში დაბრუნდება“

მხარდაჭერა გვდომოდა, თავიდანვე ავიღებდით პასუხისმგებლობას და მასთან ერთად დავდგებოდით.

იცით ჩვენი პოზიცია, რომ ვეწინააღმდეგებით ყველა ინსტიტუტის ერთი ადამიანის ხელში ყოფნას. დღეს ყველა ინსტიტუტი ერთი ადამიანის ხელშია, სუს-იდან დაწყებული პროკურატურით დამთავრებული. მაგრამ აქ არ მიდის ბრძოლა

ვნახე, როცა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩამოერთვა ძალაუფლება და დავინახე, როგორ აწუხებდათ ამ ადამიანებს უკვე უსამართლობა და როგორ გადაიქცნენ ჩვეულებრივ ადამიანებად. ის ადამიანები კი, ვისზეც ეს ძალაუფლება გადავიდა, როგორ დაემსგავსნენ იმ ძალას, რომელსაც უპირისპირდებოდნენ

ინსტიტუტისთვის. ვაშაძე წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილს. ეს არის მიშა სააკაშვილის ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად.

– ანუ პრეზიდენტის პოსტის მოპოვება ძალაუფლების მოპოვებასაც ნიშნავს?

– ეს არ ნიშნავს, რადგან პრეზიდენტის ინსტიტუტი ერთ-ერთი ინსტიტუტია. მაგრამ გვესმის მათგან დიდი ხანია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის კვალდაკვალ უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. 1 წელია, ეს გვესმის. მაშინ, როცა არჩევნები 2020 წელს არის.

აქეთ მხარეს „ოცნების“ შეშინებულ გუნდს ვხედავთ, რომელთაც არ აერთიანებთ არც პრინციპები და არც ღირებულებები. ერთი ინსტიტუტის დაკარგვის შიშით კი პანიკაში არიან. ანუ მედროვეებით დაკომპლექტებულია ხელისუფლება.

ერთი მხრივ გვესმის, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ნაცმოძრაობის მხრიდან და მეორე მხრიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული იმ ინსტიტუტისთვის, რომელზეც თავად გვეუბნებოდნენ, რომ მას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება აბსოლუტური ძალაუფლება. არ შეიძლება აბსოლუტური ძალაუფლების ყოფნის მანიით შეპყრობილი ადამიანების ორბიტაზე ყოფნა, იქნება ეს ბიძინა ივანიშვილის ორბიტა თუ მიშა სააკაშვილის ორბიტა. ვიცი, რომ ეს ადგილი, სადაც ჩვენ ვართ, ძალიან მძიმე ადგილია, მაგრამ არასდროს წავალთ პრინციპების წინააღმდეგ. დაველოდებით ყველა ადამიანს, ვინც გაიაზრებს, რომ არ შეიძლება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ამ არჩევნების შემდეგ, სადაც ასე საშინლად უპირისპირდებიან ერთმანეთს, ცხოვრება ხომ უნდა გავაგრძელოთ?! საჭიროა ამ ძალების დამბალანსებელი პოლიტიკური ერთობა. დაველოდები ყველა იმ ძალას, ვინც არც ნაცმოძრაობის და არც „ოცნების“ ორბიტაზე არ იქნება.

– უგულავამ თქვა, მესამე ძალა ჩვენ ვართო.

– უგულავამაც თქვა, ბურჯანაძემაც, კუკავამაც, ელისაშვილმაც. მე ვამბობ, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვინც პროდასავლურია და არც „ოცნების“ და არც ნაცმოძრაობის ორბიტაზეა.

ვნახე, როცა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩამოერთვათ ძალაუფლება და დავინახე, როგორ აწუხებდათ ამ ადამიანებს უკვე უსამართლობა და როგორ გადაიქცნენ ჩვეულებრივ ადამიანებად. ის ადამიანები კი, ვისზეც ეს ძალაუფლება გადავიდა, როგორ დაემსგავსნენ იმ ძალას, რომელსაც უპირისპირდებოდნენ.

ამიტომ, აქ მთავარი ბოროტება ძალაუფლებაა და ვინც გაიაზრებს, რომ საჭიროა დაბალანსებული ძალაუფლება, ყველა იმ პროდასავლურ ძალასთან და ადამიანთან ვითანამშრომლებთ.

ოკუპირებულ აფხაზეთს ევროკავშირთან თანამშრომლობა არ უნდა

„აფხაზეთის რესპუბლიკა მზადაა, თბილისის ავანტიურული მოქმედებების წინააღმდეგ ადეკვატური ზომები მიიღოს“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი ბოლო ორი დღეა, ოფიციალურ თბილისსა და დასავლეთს უტევს.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო გააქტიურდა.

უწყებამ ერთი განცხადება საქართველოს ნატოსთან დაახლოებასა და ვაზიანში ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობას მიუძღვნა.

სოხუმის შეფასებით, ვაზიანში ნატოს ეგიდით სამხედრო აეროდრომის აშენება, რაზეც საქართველო და აშშ შეთანხმდნენ, ვაშინგტონის მხრიდან საქართველოს სრულმასშტაბიანი მილიტარიზაციის გამოვლინებაა, რაც ემუქრება მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეგიონში.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს, რომ საერთაშორისო შუამავლებმა ყურადღება მიაქციონ საქართველოს მილიტარიზაციის პროცესს და მისცენ მას შესაბამისი შეფასება.

– ვაზიანის სამხედრო აეროდრომის დაგეგმილი მოდერნიზაცია, რაც მას საშუალებას მისცემს, მიიღოს აშშ-ის სამხედრო-სატრანსპორ-

ტო თვითმფრინავები, გადააქცევს ამ ადგილს ნატოს მძლავრ ლოჯისტიკურ ცენტრად სამხრეთ კავკასიაში, – ნათქვამია განცხადებაში.

სოხუმი აღნიშნავს, რომ აგრძელებს სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას რუსეთთან და აფხაზეთის რესპუბლიკა მზადაა, მიიღოს ადეკვატური ზომები თბილისის ავანტიურული მოქმედებების წინააღმდეგ.

ამასთან, საოკუპაციო რეჟიმი უსაფრთხოების საკითხებს ჰუმანიტარულს აბამს:

– საქართველოს ნატოსთან აქტიური დაახლოების ფონზე აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცინიკურად მიიჩნევს აფხაზეთის მოსახლეობისათვის შემოთავაზებულ სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივას, მაგალითად, „ნაბიჯს მომავლისაკენ“.

სოხუმში არ სჯერათ, რომ განახლებული სამხედრო ობიექტი მხოლოდ გამოყენებული იქნება ნატოს იმ ნაწილების მისაღებად, რომლებიც ერთობლივ წვრთნებს გადიან საქართველოს ჯართან ერთად. აფხაზური უწყების თქმით, ეს ინფრასტრუქტურა შეიძლება გამოიყენონ რეგიონში სამხედრო ესკალაციის გაჩაღების შემთხვევაში.

საოკუპაციო რეჟიმის გაღიზიანება ევროპარლამენტის უწყინარმა ფრაზამაც გამოიწვია.

ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტში საუბარია ასოციაციის შეთანხმების ამოქმედების მიზანშეწონილობაზე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში. ამის შესახებ პირველად არ ცხადდება.

– ეს არის მოწოდება საქართველოს ხელისუფლებისადმი, გააგრძელოს ძალისხმევა დაბრკოლებების გადასალახავად და ეცადოს გაავრცელოს ასოცირების შეთანხმების უპირატესობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე. აფხაზეთის რესპუბლიკა არ არის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მონაწილე. მას არ გამოუხატავს მისი დადების სურვილი. შესაბამისად, აფხაზეთის რესპუბლიკაში ეს შეთანხმება ვერანაირად ვერ ამოქმედდება, – აღნიშნავს დე ფაქტო საგარეო სამინისტრო.

სოხუმში ამგვარ მოწოდებებსაც „სამშვიდობო ინიციატივების“ კონტექსტში განიხილავენ და მოუწოდებენ ევროდეპუტატებს, ურჩიონ საქართველოს ხელისუფლებას, აღიაროს ახალი პოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში.

მამუკა ტუსკაძე: „სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურს დიდი ანგარიშით მოიგებს“

„სანაძლეოს დავდებ, რომ ნაციონალები 600.000-ზე ნაკლებ ხმას მიიღებენ“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი და ყოფილი უკანონო პატიმარი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მეორე ტურში ნაცმოძრაობის კანდიდატს გამარჯვება გაუჭირდება.

– ბატონო მამუკა, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ ნაცმოძრაობას პოლიტიკურ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გაუჩნდა. თქვენი, როგორც ნაცმოძრაობის დროს რეპრესირებული ადამიანის, როგორც უკანონო პატიმრის პოზიცია როგორია?

– ჩემი და უკანონო პატიმრების, პოლიტპატიმრების, ყველა იმ ადამიანის სახელით (რომელიც ნაცრეჟიმის დროს იყო რეპრესირებული) შემიძლია გითხრათ, რომ სააკაშვილის მმართველობის ფორმა, ტოტალიტარიზმი, ზოგადად, ნაცისტური მმართველობა საქართველოში ვერ დაბრუნდება.

– რატომ გგონიათ?

– ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ არც ერთ შემთხვევაში მათ დაბრუნების მცირედი შანსიც არ დარჩეთ. მათი შანსი ისედაც ძალიან დაბალია. მათ წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილზე და არა „ქართულ ოცნებაზე“. „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს პირველ ტურში მხოლოდ ფორმალურად უჭერდა მხარს, მეორე ტურის წინ ვითარება იცვლება.

მეორე ტურში „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს მნიშვნელოვნად უჭერს მხარს. „ოცნება“ სწორად იქცევა, რომ სალომე ზურაბიშვილს ღიად უჭერს მხარს. ამიტომ, ვფიქრობ, ნაცმოძრაობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს გამარჯვების მცირეოდენი შანსიც კი არ აქვს.

– ნაცები თუ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, მაშინ რა იქნება?

– ხელისუფლება რამდენიმე შტოსაგან შედგება. ის შტო, რომლის ხელში ჩაგდებისთვისაც ნაცები იბრძვიან, ძალიან მცირე უფლებების მქონეა. ამიტომ მათი ერთადერთი მიზანია, როგორმე მოახდინონ სააკაშვილისა და მისი ჯალათების შეწყალება. ამიტომ სურს ნაცმოძრაობას, საქართველოს პრეზიდენტად თავისი კანდიდატი გაიყვანოს. ეს ის მიზანი არ არის, რისთვისაც ადამიანებმა შეიძლება ნაცმოძრაობას მასობრივად ხმა მისცენ.

ნაციონალების გამარჯვება გამოიწვევს მხოლოდ არეულობას, რაც ქვეყნის განვითარებისთვის კარგი არ იქნება.

პროვოკაციებს, საბოტაჟსა და ავანტიურისტულ ქმედებებს აქვს ადგილი ხელისუფლებაში ჩანერგილი ადამიანების მხრიდან. ისინი წლების განმავლობაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოში მუშაობენ, რაც გამოწვეულია იმ კოაბიტაციით, რომელიც დასავლეთის მიერ იყო ნაკარნახევი. თავს მოხვეულმა კოაბიტაციამ მიგვიყვანა ამ შედეგებამდე.

– რა შედეგამდე?

– მაგალითად, დღეს ციხეებში არჩევნებს აგებს ხელისუფლება იმ მარტივი მიზეზით, რომ ციხის ადმინისტრაციის რაღაც ნაწილს რეჟიმის დაბრუნება უნდა, ძალიან უნდა, პატიმრები კვლავ აწამონ.

უსაფრთხოების სამსახურებს ისინი მოძიებული უნდა ჰყავდეთ. შესაბამისად, მათი ადგილი სახელმწიფო სამსახურებში არ უნდა იყოს.

– მაინც რატომ გაიზარდა ნაცების ხმები?

– მიღებული ხმების ნახევარზე მეტი იმ განაწყენებულმა ადამიანების ხმები იყო, რომლებიც ზუსტად ისე ფიქრობენ, როგორც მე.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მე ჩემი პოლიტიკური შეხედულებები მაქვს – ზოგადად, ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას ვითხოვ. ამაზე ძალიან მალე დავიწყებ აქტიურობას პოლიტიკური მოძრაობით.

– რა პოლიტიკური მოძრაობით?

– მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ სახელით. არჩევნების შემდეგ ჩვენ გვექნება ამ ორგანიზაციის პრეზენტაცია. აუცილებელია, ქვეყანაში დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა. არ ვითხოვთ, ციხეებში მოვათავსოთ ის ადამიანები.

– აბა, რას მოითხოვთ?

– ჩვენ მოვითხოვთ რესურსების სამართლიან და თანასწორ გადანაწილებას ბიუჯეტისა თუ სხვა ნებისმიერი მიმართულებით.

– ნაცრეჟიმის ნაწილი ციხეშია. სააკაშვილმა კი თქვა, მე ისეთი აღარ ვარ, ქონებას რომ ვართმევდიო. ერთხელ რომ წაართმევ ქონებას, მერე მეორე მოგინდება, მერე მესამე და მერე ვენდეტაში გადადის, ამიტომ ისეთი აღარ ვარ, გამოვსწორდიო.

– ქართული ანდაზაა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, ეს მიესადაგება სააკაშვილსა და მის ხროვას. ამ შემთხვევაში მათი იდეოლოგიური მანქანა „რუსთავი-2“ პირდაპირ გვემუქრება.

– როგორ გემუქრებათ?

– გვარამია, რომელიც სააკაშვილის პროკურორი იყო და, წესით, გლდანის ციხეში უნდა იჯდეს, ადამიანებს ემუქრება, მთვარისა ნავერიანს ხელი დაარტყა და პასუხს არავინ სთხოვს. პირველ ტურში ხელისუფლების უნიათობა გამოიყენეს, თანაც ხელისუფლებამ სერიოზული ალიყური მიიღო ხალხისგან, გამოფხიზლდა და მეორე ტურში ძალიან დიდი უპირატესობით მოიგებს სალომე ზურაბიშვილი.

მე, პირადად, მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემს გუნდს ჩვენი შეხედულებები გვაქვს ქვეყნის განვითარებაზე, ამ მომენტისათვის ყველანაირ ღონეს ვიხმარ, რომ სალომე ზურაბიშვილი გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ჩვენ გვეყოლება პირველი ქალი პრეზიდენტი.

– როდესაც ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებებზე საუბრობენ, განიხილავენ ხოლმე ახალი რევოლუციის მცდელობას ან ძალის გამოყენებას. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი, წარმოიდგინეთ, იმ უფლებამოსილების განხორციელებით, რომელიც მას ექნება, სააკაშვილი შემოდის ქვეყანაში. სააკაშვილის შემოსვლა, შეწყალება და იმ ადამიანების ციხეებიდან გამოსვლა, რომლებსაც ჩადენილი აქვთ სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, ასობით ადამიანი ჰყავთ მოკლული, გაუბედურებული და გაუპატიურებული, დარწმუნებული ვარ, მათ მიმართ იქნება ხალხის აგრესია, რაც გამოიწვევს არეულობას.

ძალიან ბევრი ადამიანი, რიგითი მოქალაქეები მათ წინააღმდეგ გაშმაგებულ ბრძოლას დაიწყებენ, რაც გადაიზრდება დიდ სამოქალაქო დაპირისპირებაში.

თუ ნაცებმა ვერ მოიგეს არჩევნები და იმუქრებიან აქციებით, ეს სულაც არ არის საშიში.

– რატომ არ არის საშიში?

– ისინი აქციებს ვერ გამართავენ. ამის ნათელი მაგალითია რუსთაველზე შვილმკვდარი მამების აქცია. მათ ადამიანები მართლა გულწრფელად დაუდგნენ გვერდით, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ნაციონალები გამოჩნდნენ მათ აქციაზე, ის აქტივიც კი გაიფანტა, რომელიც ამ შვილმკვდარ მამებს ედგა გვერდით.

– განაწყენებული ხალხი მეორე ტურში არჩევნებზე მივა? ხელისუფლებასა და ხალხს შორის კონტაქტი შედგა და ურთიერთგაგება არის?

– მეორე ტურში ნაცმოძრაობა 600 ათასზე ნაკლებ ხმას მიიღებს. ამაზე შემიძლია სანაძლეო დავდო. მათ შანსი არ აქვთ. ის ადამიანები, რომლებიც განაწყენებული იყვნენ „ქართულ ოცნებაზე“ იმიტომაც, რომ ეს პარტია სალომე ზურაბიშვილს აქტიურად არ უჭერდა მხარს, ახლა ვითარება შეცვლილია. სალომე ზურაბიშვილი და „ოცნება“ თუ ერთად იბრძოლებენ, ის შედეგი იქნება, რაც ხალხს უნდა. მთავარია მონდომება.

„სააკაშვილმა ივანიშვილს არჩევნები სკაიპით მოუგო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ასეთი რამე ნაციონალებსაც აქვთ ჩადენილი.

– ჰქონდათ ასეთი გადაცდომა, მაგრამ ამის გამო გადავიდნენ ოპოზიციაში და იგივე შეცდომას აღარ გაიმეორებენ.

– ამის გარანტი ვინ არის?

– ჩვენ ვართ ამის გარანტი.

– ხალხისთვის აქტიურად მიდის სისხლიანი 9 წლის შეხსენება. ამის ფონზე ვინ დაიჯერებს, რომ ნაციონალებს რევანში არ უნდათ?

– ეს იყო სახელმწიფოს მშენებლობა. სახელმწიფოს მშენებლობა რომ არ ყოფილიყო, ამდენი შეცდომაც არ იქნებოდა დაშვებული.

ხალხზე ამ შეცდომების გახსენება ნამდვილად არ იმოქმედებს. ისინი ხომ ადარებენ იმ 9 წელს და ამ 6 წელს. ხალხი ირჩევს იმას, რაც იყო. ასეთ არჩევანს იმიტომ აკეთებენ, რომ ახსოვთ, მაშინ კარგად იყო ყველაფერი.

– ყველაფერი კარგად როგორ იყო, თავადაც აღიარეთ, შეცდომებს ჰქონდა ადგილი.

– შეცდომები იყო, მაგრამ დაცული იყო უსაფრთხოება. ხალხი ხელისუფლებას არასდროს არ სთხოვს, მაჭამეო, საჭმელს ის თავად შოულობს. საზოგადოება მმართველი ძალისგან ითხოვს იმას, რომ უსაფრთხოება დაცული იყოს და ხალხს ქუჩაში გასვლის არ ეშინოდეს.

ახლა ხალხს ნამდვილად ეშინია ქუჩაში გასვლის, ისე წავიდა საქმე, გარეთ რომ გახვალ, უკან დაბრუნდები თუ არა, არ იცი.

– ქუჩაში გასვლა მაშინაც საშიში იყო. მთელი ეს წლები „ოცნება“ იმით იმართლებდა თავს, ხალხს ქუჩაში მაინც არ ვხოცავთო.

– ეგ სიმართლე უთქვამთ, ხალხს ქუჩებში მართლა აღარ ხოცავენ, სახლებში უვარდებიან უკვე.

– მე კრიმინალზე არ გეკითხებით, პოლიციის მიერ ქუჩებში ხალხის დახოცვაზე გეკითხებით. ნაციონალების დროს ასეთი ფაქტები იშვიათობას არ წარმოადგენდა.

– მესმის, რომ პოლიცია შეცდომებს უშვებდა, მაგრამ ასეთი რამეები, სამწუხაროდ, ყველგან ხდება. საქართველოც არ აღმოჩნდა გამონაკლისი.

ჯელალ ქიქავა: „კავკასიას 20 წელიწადში ერთხელ სჭირდება დიქტატორი“

ახლა რასაც ვიტყვი, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ აშკარაა, რომ 20 წელიწადში ერთხელ კავკასიას დიქტატორი სჭირდება.

– რაში სჭირდება დიქტატორი?

– წესრიგის დამყარებაში. როცა შეშინდნენ, ხომ ნახეთ, როგორი წესრიგი იყო ქვეყანაში. ძალადობას არანაირი გამართლება არა აქვს, მაგრამ რკინის ხელი ზოგჯერ საჭიროა. დამნაშავეებს უნდა გამოუცხადო ნულოვანი ტოლერანტობა, სხვანაირად წესრიგი არ იქნება.

მკაცრი ხელი არ მოგწონდათ და ის მოგწონთ, 10 წლის ბავშვები ქუჩაში პლანს რომ ეწევიან? უსამართლოდ არავინ არ უნდა დაისაჯოს, სხვა მხრივ მართლა რკინის ხელია საჭირო.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 20 წელიწადში ერთხელ კავკასიას დიქტატორი სჭირდება.

– ეს დიქტატორი მთელ კავკასიას სჭირდება თუ მარტო საქართველოს?

– არ მინდა ვინმემ ცუდად გამიგოს, მაგრამ დიქტატორი მე მინდა წესრიგისთვის. ასეთი დიქტატორი კავკასიასაც სჭირდება და საქართველოსაც. კავკასიელები კანონის მიმართ დიდ პატივისცემას არ იჩენენ, მაგრამ ქართველები უფრო ევროპელები ვართ.

– ევროპა და დიქტატურა ერთმანეთისგან შორს არის.

– წესრიგის დიქტატს მთელი ევროპა ემორჩილება. მეც წესრიგის დიქტატორს ვითხოვ, აბა პინოჩეტიზე კი არ ვოცნებობ.

– ქართველები ევროპელები ვართო, ამბობთ და ამ დროს ჩვენი მოსახლეობის ნაწილი რუსეთისკენ რატომ იხედება?

– მოღალატეები ყველგან არიან. ჩვენ გამორჩეული ხალხი ვართ. თავისუფლებისთვის ბრძოლა გენებში გვაქვს.

– რანაირად გვაქვს გენებში, ზოგიერთი თავის ნებაზე რომ მიუშვა, უკვე რუსეთის შემადგენლობაში იქნება.

– ეგეც დრომ მოიტანა, მაგრამ ყველაფერი შეიცვლება. ქართველი ხალხი არასდროს აირჩევს მონობას და რუსეთს. გითხარით და ახლაც გავიმეორებ, არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატი მწარედ დამარცხდება. არც ხალხის დაშინება და არც ფულების დარიგება აღარ უშველის მაგათ.

6 წლის შემდეგ „ქართული ოცნება“ დაუსაბუთებელ დაპირებებს აგრძელებს

2025 წლამდე 450-500 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შეიქმნება – ეს დაპირება ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ „საქმიანი დილის“ ეთერში განაცხადა. მინისტრი ამბობს, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა.

– ჩვენმა ინიციატივებმა, შესაძლოა, ძალიან ახლო მომავალში გამოიღოს შედეგი. უნდა გავაორმაგოთ საშუალო შემოსავალი ქვეყანაში. დღეს უმუშევრობისა და სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ეს რესურსი უნდა გამოვიყენოთ და ჩავრთოთ ეკონომიკაში. ეს ჩვენთვის გამოწვევა და შესაძლებლობაა, – ამბობს ქობულია.

როგორც კომერსანტმა დაითვალა – ეს ნიშნავს, რომ ყოველ წელს დაახლოებით 100 ათასი ახალი სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას, ანუ ყოველ 1 წელიწადში უნდა აშენდეს დაახლოებით 100 დიდი საწარმო, სადაც 1.000 ადამიანი დასაქმდება, ან 1.000 საშუალო საწარმო, სადაც 100 ადამიანი დასაქმდება. ე.ი. მომავალ წელს რომ შეიქმნას 100 ათასი ახალი სამუშაო, ეს ნიშნავს, რომ ათობით ახალი საწარმოს მშენებლობა უკვე უნდა მიდიოდეს, რაც ზუსტად ვიცით, რომ არ ხდება.

რამდენად რეალურია ეკონომიკის მინისტრის განცხადება და რის საფუძველზე დაყრდნობით აძლევს ხელისუფლების წარმომადგენელი მოსახლეობას ამგვარ დაპირებას, ამის გადამოწმება „კომერსანტმა“ თავად ეკონომიკის სამინისტროში სცადა, თუმცა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ, „კომერსანტის“ ჟურნალისტები, როგორც ამ საზოგადოების ნაწილი, მმართველი პარტიისგან და ხელისუფლებისგან, ვინც არ უნდა იყოს მის სათავეში, ველოდებით რეალურ, კონკრეტულ ნაბიჯებს და არა ისეთ უარგუმენტო დაპირებებს, როგორიც ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ ახლა გააკეთა.

იმედია, მთავრობის წარმომადგენლები, ისე, როგორც მმართველი პარტიის წევრები აცნობიერებენ, რომ ეკონომიკური და ბიზნესსიმართულებით დაუსაბუთებელი დაპირებების დრო დასრულდა, ეს კი 28 ოქტომბერს საზოგადოების არჩევანმაც ნათლად დაადასტურა.

ის, რომ მინისტრ ქობულიას დაპირება მკვეთრად აცდენილია რეალობას, ამას ჩვენთან ერთად დარგის ექსპერტებიც ადასტურებენ.

ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია მინისტრის განცხადებას პოპულისტურს უწოდებს. მისი მტკიცებით, როდესაც პოლიტიკოსები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, მათ მიერ მოწოდებული ციფრები ძირითადად, პოპულისტობაზეა ხოლმე აგებული. როგორც მაკალათია აღნიშნავს, სახელმწიფო არ უნდა გეგმავდეს ამას.

– ეს იყო კომუნისტების დროს, როდესაც სახელმწიფო გვიგეგმავდა ეკონომიკას, რამდენით უნდა გაზრდილიყო მოგება და ასე შემდეგ. დღეს, როდესაც ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაა, ამ პირობებში მსგავსს განცხადებებს საჯარო პირი, მინისტრი არ უნდა აკეთებდეს. სახელმწიფო არ უნდა გეგმავდეს დასაქმებას და ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, სახელმწიფო უნდა აძლევდეს ბიზნესს ეკონომიკურ თავისუფლებას, განვითარების საშუალებას. ამის შემდეგ რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნება, ეს ბაზარმა უნდა განსაზღვროს და არა მინისტრის ნათქვამმა, – აღნიშნავს მაკალათია.

მისი განმარტებით, 2017 წლის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა დაახლოებით 276.000 ადამიანია. მინისტრი კი 450-500.000 ადამიანის დასაქმებას აპირებს. მაკალათიას შეფასებით, ამით მინისტრი აღიარებს იმას, რომ პრობლემა რეალურად დასაქმებულებში და მისი დათვლის მეთოდოლოგიაშია.

მაკალათიასთვის გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს თვითდასაქმებულების ეკონომიკის სექტორში გადმოყვანა. მისი განცხადებით, დღეს თვითდასაქმებული 55 პროცენტია და აქედან კი 40% ისეთი ადამიანებია, რომლებიც თავიანთ შინამეურნეობებში უსასყიდლოდ მუშაობენ. მისთვის გაუგებარია, თუ როგორ მოხდება ამ ადამიანების რეალური დასაქმება.

– თვითდასაქმებულების დასაქმების რეალური გამოსავალი იქნებოდა ის დაურეგისტრირებელი მიწები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია, გადასულიყო საქართველოს მოქალაქეების მფლობელობაში. ასეთ დროს მათი რეალური დასაქმების უფრო მეტი შანსი იქნებოდა. თუ ამ ადამიანების ხელში გადავიდოდა მიწები, მათ გაუჩნდებოდათ კაპიტალი, გაიზრდებოდა მიწის ფასიც და სოფლად მცხოვრებნი რეალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას მიიღებდნენ, – განმარტავს მაკალათია.

თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორის, ვახტანგ ჭარაიას თქმით, მინისტრი ქობულია რამდენიმე თვეა აანონსებს ახალი პროგრამების გამოცხადებას, თუმცა, 500.000 სამუშაო ადგილის შესაქმნელად რამდენად საკმარისია მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრო და მისი პროგრამა, უცნობია. „შესაძლოა ქობულია გულისხმობდა ისეთი ტიპის დასაქმებას, როგორიც არის, მაგალითად, სეზონურ ან დროებით პროგრამებს. ძალიან დიდი ციფრია და სანამ არ გავეცნობით რას გულისხმობს, გამიჭირდება ამაზე დეტალურად საუბარი, – განმარტავს ჭარაია.

მისი განცხადებით, ეკონომიკაში თვითდასაქმებული 1 მილიონი ადამიანია, აქედან 500.000 რამდენად ახალგაზრდაა და შრომისუნარიანი, ეს ცალკე საკითხია. შესაძლოა, „დასაქმების მეთოდოლოგიის შეცვლაა დაგეგმილი, უცნობია. დაახლოებით 700.000 ადამიანია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული და ეს ძირითადად, ხანშიშესული ხალხია. რაც შეეხება უმუშევრობას, ქვეყნის მასშტაბით, დღეს უმუშევარი 300.000 ადამიანია და 500.000 ადამიანის დასაქმება ფიზიკურად ვერ მოხერხდება. – აღნიშნავს ჭარაია.

განსხვავებული პოზიცია აქვს „დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტ ელგუჯა მელაძეს. ის გარკვეულწილად ეთანხმება ეკონომიკის მინისტრს და აცხადებს, რომ ეკონომიკის სამინისტროს სოფლად ძალიან ბევრი პროექტი აქვს, რაშიც მოსახლეობა ძალიან აქტიურად ერთვება და ეს პროცესი სამომავლოდაც გაგრძელდება. საუბარია, გადამამუშავებელ წარმოებაზე.

– სოფლად გაჩნდა სამუშაო ძალა, ვენახები გააშენეს, ეს პროცესი დაწყებულია, ამიტომ, ამას ცხადია პერსპექტივა აქვს. მცდარი წარმოდგენაა ის, რომ სოფლად თუ ფაბრიკაში არ მუშაობენ, ან მასწავლებლები არ არიან, დასაქმებულად არ ითვლებიან, ეს მიდგომა არასწორია. ადამიანები დასაქმებულებად ითვლებიან, რომლებიც სოფლად, ფერმერულ მეურნეობებში მუშაობენ და შემოსავალი აქვთ. ის სხვა თემაა, რომ მათ მცირე შემოსავალი აქვთ, – აცხადებს მელაძე.

მისი მტკიცებით, რა იქნება 2025 წელს, ეს დამოკიდებულია პოლიტიკაზე. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მთავრობა არ ქმნის სამუშაო ადგილებს, მან უნდა შექმნას გარემო, რომელიც სამუშაო ადგილებს თავად ქმნის.

როგორც მელაძე აღნიშნავს, დღეს ქვეყანაში სამუშაო ადგილები შექმნილია, ბაზარზე არსებობს ვაკანსიები, გვყავს სამუშაოს მაძიებლები, გვაქვს პროფესიული სასწავლებლებიც. გარდა ამისა, ბიზნესიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შექმნას და, რაც მთავარია, დასაქმებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ.

„კომერსანტი“

2019 წლის ბიუჯეტი: ხელფასები და სოციალური დახმარებები იზრდება

მომდევნო წლის ბიუჯეტი ისტორიულ მაქსიმუმზე, 13 მილიარდ ლარზეა დაგეგმილი.

მთავრობამ პარლამენტს 2019 ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვერსია წარუდგინა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის ინფორმაციით, საბიუჯეტო პროექტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით, საბიუჯეტო მაჩვენებლები გაზრდილია და დამატებულია 270 მილიონი ლარი.

– ხარჯვასთან დაკავშირებული ასიგნებები გაზრდილია პრაქტიკულად 538 მილიონით. 2019 წელს სახელმწიფო პრაქტიკულად თითქმის 13 მილარდ ლარს დახარჯავს. ეს არის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი. გარდა ამისა, 69 მილიონ 500 ათასი ლარით არის გაზრდილი მაჩვენებლები, რომლითაც უნდა დავეხმაროთ ბავშვებს, ვისზეც არის საუბარი. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ასეთი ციფრები არ ყოფილა, – განაცხადა კოვზანაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.



2019 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, პირველ წარდგენასთან შედარებით, 357.0 მლნ ლარით იზრდება.

მათ შორის გადასახადები იზრდება – 80 მლნ ლარით; გრანტები – 102 მლნ ლარით, ძირითადად ევროკავშირთან არსებული საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში; კრედიტები – 145 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო დახმარება 90 მლნ ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, პირველ წარდგენასთან შედარებით, 268.0 მლნ ლარით იზრდება. მათ შორისაა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის 50 ლარის ღირებულების პაკეტის გასაცემად (20 ლარიანი ფულადი დახმარება + 30 ლარიანი კვების ვაუჩერი) – 70 მლნ ლარი; თავდაცვის სამინისტროს აღჭურვისთვის – 92 მლნ ლარი.

საკრედიტო საგარანტიო სქემის ასამოქმედებლად მეწარმეობის განვითარების პროგრამას ემატება 10 მლნ ლარი და ჯამურად ამ მიმართულებით 20 მლნ ლარი იქნება გათვალისწინებული. იზრდება გაზიფიცირების პროგრამის ბიუჯეტი 10 მლნ ლარით და ჯამურად რეგიონებში გაზიფიცირებისათვის გაიხარჯება 40 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება იზრდება 34 მლნ ლარით, მათ შორის ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის 10 მლნ ლარი.

ამასთან ერთად, მომავალი წლიდან მთავრობა მრავალშვილიან ოჯახებს ელექტროენერგიის გადასახადის ნაწილს დაუფარავს. სუბსიდირების ახალი წესი 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდება.

მთავრობის დადგენილების მიხედვით, 20-ლარიან სუბსიდიას ყოველთვიურად მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე ის პირი მიიღებს, რომელსაც ოთხი 18 წლამდე შვილი ჰყავს. თუ პირს 4-ზე მეტი შვილი ჰყავს, ყოველ მომდევნო შვილზე, მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის გათვალისწინებით, დამატებით არა უმეტეს 10 ლარს მიიღებს.

სოციალურ შეღავათს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის ოჯახი იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ შესაბამისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 300.000 პირობით ერთეულზე.

დადგენილებაში განმარტებულია, რომ ამ სუბსიდიის მიღება ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის შეჩერებას-შეწყვეტას ან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალ გადამოწმებას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება ხელფასებს, მომდევნო წლიდან ანაზღაურება რიგ სახელმწიფო მოხელეებს ეზრდებათ. 2019-2020 წლებში 7.526 სამხედრო მოსამსახურეს ხელფასი წოდების მიხედვით გაეზრდება, – ამის შესახებ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, 2019 წლიდან თანამდებობრივი სარგო 250 ლარით გაეზრდებათ შსს სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეებსა და სანაპირო დაცვის ხომალდების მომსახურე პერსონალსაც. ასევე, 1-ელი იანვრიდან იგეგმება ხელფასის ზრდა სხვა დანაყოფებისთვისაც, მათ შორის სპეციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვისაც.

– მინდა შეგახსენოთ, რომ 2018 წლის ზაფხულიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის 14 000 თანამშრომელს გაეზარდა ხელფასი. ეს პროცესი გაგრძელდება და 2019 წლიდან თანამდებობრივი სარგო 250 ლარით გაეზრდებათ შსს სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეებსა და სანაპირო დაცვის ხომალდების მომსახურე პერსონალს, ეს არის დაახლოებით 2.900 ადამიანი. 1-ელი იანვრიდან იგეგმება ხელფასის ზრდა სხვა დანაყოფებისთვისაც, მათ შორის სპეციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვისაც, – განაცხადა ბახტაძემ.

2022 წლისთვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1.800 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი – 2.000 ლარს და მეტს, – ამის შესახებ ინფორმაციას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

– 2019-2021 წლებში, ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის. 2022 წლისთვის კი მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1.800 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი – 2.000 ლარს და მეტს. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში თანხები უკვე გათვალისწინებულია, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პრემიერის ინიციატივით მომდევნო წლიდან იზრდება სიღარიბეში მცხოვრები არასრულწლოვნების დახმარებაც. სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის 50-ლარიანი დახმარებისთვის ბიუჯეტიდან 70 მლნ ლარი გამოიყოფა. სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვიანი ოჯახები ამჟამად არსებული 10-ლარიანი დახმარების ნაცვლად მიიღებენ 50-ლარიან დახმარებას. აღნიშნული ინიციატივა 140 000-მდე ბავშვს შეეხება.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით მომდევნო წლიდან რიგი სახელმწიფო მოხელეების ხელფასები და სოციალურად დაუცველების დახმარებები იზრდება. მთავრობის განცხადებით ეს ნაბიჯები იუნისეფის კვლევის საპასუხოდ გადადგეს, რომელი თანახმადაც 2014-2016 წლებში საქართველოში სიღარიბე გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მიზნობრივი დახმარებები, როგორც წესი, აღწევს კონკრეტულ ადამიანებამდე, შესაბამისად გაზრდილი სოციალური ხარჯები შეამცირებს სიღარიბეს, თუმცა რა დოზით, ამას მომავალ წელს ვნახავთ.

BFM.GE

სტატისტიკის თანახმად, საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი გაჭირვებული ადამიანი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობს



საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი გაჭირვებული ადამიანი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობს. ამ რეგიონში შემწეობას იქ მცხოვრები მოსახლეობის 41%-ზე მეტი იღებს. ღარიბი მოსახლეობის სიმცირით კი სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა, იქ სოციალურ შემწეობას რეგიონის მოსახლეობის 7% იღებს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიზნესპრესნიუსი“ აქვეყნებს, რომელმაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიით და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, საქართველოს რეგიონებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი დათვალა.

მათი ინფორმაციით, ყველაზე ღარიბი რეგიონი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია, სადაც 30.246 ადამიანი ცხოვრობს, აქედან საარსებო შემწეობას 12.413 ადამიანი იღებს, რაც მოსახლეობის 41%-ს შეადგენს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმ – ქვემო სვანეთს მოსდევს შიდა ქართლი, სადაც 259.251 ადამიანი ცხოვრობს, აქედან სოციალურ შემწეობას 43.920 ადამიანი იღებს, რაც რეგიონის მოსახლეობის 17%-ია.

შიდა ქართლის შემდეგ შემწეობას ყველაზე მეტი ადამიანი მცხეთა-მთიანეთში იღებს. აქ სულ 93.897 ადამიანი ცხოვრობს, სოციალურ შემწეობას კი 15.6% (14 655) იღებს. სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონებში მოსახლეობის 15-15% იღებს სოციალურ შემწეობას. კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთში მოსახლეობა 320.805 ადამიანია, საიდანაც შემწეობას 48.018 ადამიანი იღებს. რაც შეეხება გურიას, აქ მოსახლეობა 110.524 ადამიანი, ხოლო სოციალურ შემწეობას 16.597 ადამიანი იღებს. ერთი პროცენტით ჩამორჩება კახეთის რეგიონი, სადაც სოციალურ შემწეობას მოსახლეობის 14% იღებს. რეგიონში სულ 314 681 ადამიანი ცხოვრობს, შემწეობას კი 44.300 ადამიანი იღებს.

რაც შეეხება იმერეთს, რეგიონში სულ 507.038 ადამიანია, აქედან კი 59.932 სოციალურ შემწეობას იღებს, ეს კი რეგიონის მოსახლეობის 12%-ს შეადგენს. რაც შეეხება რეგიონებს, სადაც სოციალურ შემწეობის მიმღებთა რაოდენობა მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებია. ეს რეგიონებია – აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და თბილისი. კერძოდ, აჭარაში 346.347 ადამიანი ცხოვრობს, აქედან სოციალურ შემწეობას 10%-ს (34.734) ადამიანი იღებს. ქვემო ქართლი – 432.264 ადამიანი ცხოვრობს, სოციალურ შემწეობას კი 9.6% (41.763) ადამიანი იღებს. პროცენტულად ყველაზე ცოტა ადამიანი, რომელიც სოციალურ შემწეობას იღებს, სამცხე-ჯავახეთშია. ამ რეგიონში 155.903 ადამიანიდან შემწეობას მხოლოდ 10.572 ადამიანი იღებს, ეს კი რეგიონის მოსახლეობის 7%-ია.

რაც შეეხება ქვეყნის დედაქალაქს, თბილისში სულ 1.158.677 ადამიანი ცხოვრობს, აქედან 91.447 ადამიანი იღებს სოციალურ შემწეობას, რაც თბილისის მოსახლეობის 7.9%-ს შეადგენს.

2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საარსებო შემწეობას მთელი საქართველოს მასშტაბით 418.351 ადამიანი იღებს, რაც მთლიანი მოსახლეობის 11.2%-ს შეადგენს. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში სულ 3.729.633 ადამიანი ცხოვრობს.

იპნ

149 დაზარალებულს 44 მილიონ ლარამდე ღირებულების ქონება დაუბრუნდა

მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ქონების იძულებით ჩამორთმევის დანაშაულებრივი ფაქტების გახსნის შედეგად 149 დაზარალებულს დაახლოებით 44 მილიონი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრუნდა.

ამის შესახებ ნათქვამია აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მონიტორინგის ანგარიშში. ორგანიზაციამ დეპარტამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება ქონების დაბრუნების საკითხს.

დაბრუნებული ქონების ჩამონათვალში, მათ შორის არის 80 ერთეულამდე ავტომანქანა, 21 მიწის ნაკვეთი, 6 საცხოვრებელი ბინა, 2 აგარაკი, საოფისე და კომერციული ფართები, თელავში მდებარე „აკურას“ ღვინის ქარხანა, გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები, შოვის პანსიონის ტერიტორია, 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი, ასევე სხვა უძრავ-მოძრავი ქონება.

„როგორც საჯარო ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, ზემოხსენებული უძრავ-მოძრავი ქონება იყო სახელმწიფო საკუთრებაში, ამდენად, საჭიროება არ წარმოიშვა, რომ კონკრეტულ პირს სასამართლო გზით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, რადგან სახელმწიფო სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უბრუნებს დაზარალებულს იძულებით ჩამორთმეულ ქონებას იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ეტაპზე დეპარტამენტი გახსნის ქონების იძულებით ჩამორთმევის დანაშაულებრივ ფაქტს კონკრეტული პირის მიმართ.

ასეთ შემთხვევაში საჭიროება არ წარმოიშვება, რომ სასამართლო გზით მოხდეს ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტის დადასტურება. დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მიდგომა საკუთარ ბალანსზე არსებული უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაზარალებულებისთვის დაბრუნების შესახებ, რადგან კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებულ პირს არ წარმოექმნება დამაბრკოლებელი გარემოებები ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღმოფხვრის პროცესს, რაც პროკურატურის დეპარტამენტის შექმნის ძირითად ამოცანას და წინაპირობას წარმოადგენს“ — ნათქვამია ანგარიშში.

„ყელი და ტანი მთლიანად გადაჭრილია“

ემილ ხოფერიამ ქუთაისის ციხეში თავი მოიკლა

თვითმკვლელობა მოხდა ქუთაისის მეორე საპყრობილეში — 25 წლის ემილ ხოფერიას ოჯახი ციხის ადმინისტრაციას პატიმრის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს.

გარდაცვლილი 15 ნოემბერს გვიან ღამით საკუთარ სახლში გადაასვენეს. ოჯახის წევრები ციხის ადმინისტრაციას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ, პატიმრისთვის მეტი ყურადღება უნდა მიექციათ.

მათივე მტკიცებით, ცხედარი დასახიჩრებულია, რის გამოც ისინი დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვენ.

ხოფერიებისთვის საეჭვოა გარდაცვლილის ის წერილიც, სადაც ბრალდებული თვითმკვლელობაზე საუბრობს.

ემილ ხოფერია ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს, მას სასჯელაღსრულების დაწესებულება 6 თვის შემდეგ უნდა დაეტოვებინა.

— მიიყვანეს მკვლელობამდე, მერე არ ვიცი, მორგში ხომ მიჰყავთ, რა გააკეთეს, ამოუჭრეს რამე? რა საჭირო იყო იმხელა გადაჭრები, მთლიანი ყელი გადაჭრილია და ტანი, — განაცხადა გარდაცვლილის დეიდა ვიოლეტა ხოფერიამ.

გარდაცვლილის ბიძა, ავთანდილ ხოფერია კი ამბობს, რომ არსებული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ პატიმარს თვითმკვლელობის ჩადენისკენ უბიძგეს.

— წერილი არის ქართულად დაწერილი, ქართულად არ წერდა ის. კარგი კალიგრაფით და ძაან დალაგებული აზრით, ეგ რუსულ სკოლაში სწავლობდა, ქართული არ იცოდა, — განაცხადა გარდაცვლილის ბიძამ, ავთანდილ ხოფერიამ.

გუშინ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მსჯავრდებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაავრცელა:

„მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, დაახლოებით 03.30 საათზე, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში 1993 წელს დაბადებულმა მსჯავრდებულმა ემილ ხოფერიამ საკნის საპირფარეშოში თვითნაკეთი თოკის გამოყენებით თავი მოიკლა.

აღსანიშნავია, რომ თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე მსჯავრდებულს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ოჯახის წევრებთან, რა დროსაც მას დედის გარდაცვალების შესახებ აცნობეს. მსჯავრდებული სატელეფონო ზარის შემდეგ იყო სულიერად აღელვებული, რის გამოც მას გაეწია სამედიცინო დახმარება და ფსიქოლოგის კონსულტაცია.

თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით იმავე ღამეს დაიწყო გამოძიება, რომლის ფარგლებშიც გარდაცვლილის გვამს ექსპერტიზა ჩაუტარდა, დაკითხულია დაწესებულების ექიმი, თანამშრომლების ერთი ნაწილი და გარდაცვლილის თანამესაკნეები.

გრძელდება დაწესებულების თანამშრომელთა დაკითხვა.

ემილ ხოფერია 2015 წლიდან იხდიდა სასჯელს“.

შვედეთში ქართველი მამაკაცის სხეულის ნაწილები მდინარესთან იპოვეს

დაკავებულია რუსეთის მოქალაქე

შვედეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. დანაშაული ქალაქ კალიქსში მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცის დანაწევრებული სხეულის ნაწილები ადგილობრივებმა მდინარის ნაპირზე აღმოაჩინეს.

დაკავებულია ერთი პირი — სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქე. ის ბრალს ნაწილობრივ აღიარებს. მისი მტკიცებით, მკვლელობა მან თავდაცვის მიზნით ჩაიდინა, თუმცა რატომ იყო ცხედარი დანაწევრებული, ამ კითხვაზე მას პასუხი არ აქვს.

შვედეთის პროკურატურამ მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკლული საქართველოს მოქალაქის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა.

კომუნიკაცია ქვეყნების ძალოვან უწყებებს შორის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში ხდება.

მოკლულის ვინაობას სამართალდამცველები ამ დრომდე არ ახმაურებენ.

„გიორგი ჭანტურიას საკანში აგენტი შეუგზავნეს“

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული აცხადებს, რომ საპატიმროში მას აგენტი მიუჩინეს.

გიორგი ჭანტურიას თქმით, ეს პიროვნება ძალიან ხშირად ინტერესდება საქმის დეტალებით და საეჭვოდ იცის მომხდართან დაკავშირებული წვრილმანები.

— გიორგი ჭანტურიას შეუგზავნეს აგენტი ციხეში, რომელიც ამ საქმის ისეთ დეტალებს ეხება, რომლებიც რეალურად საქმეშია და არანაირი შემხებლობა გარეშე პირს არ შეიძლება ჰქონდეს. პრევენციის სახით, უკვე სასამართლო ჩავაყენეთ საქმის კურსში, რომ ამ ტიპის აგენტურული მუშაობა დაწყებულია ჭანტურიას წინააღმდეგ უკვე ციხეში, — განაცხადა გიორგი ჭანტურიას ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.

სისხლიანი გარჩევა სასაფლაოზე — ბრალდებულს 8 წელი მიუსაჯეს

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული გ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 20 მაისს, ქალაქ თელავში, ერთ-ერთ სასაფლაოს ტერიტორიაზე გ.ა.-ს შელაპარაკება მოუხდა გ.ბ.-სთან, რომლის დროსაც შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით თავის, წელისა და გულმკერდის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის სამი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად გ.ბ.-ს სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა.

სამართალდამცველებმა გ.ა. 2018 წლის 20 მაისს ქ.თელავში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,108 მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ხობში ხანძარს 85 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს 85 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ცეცხლი ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩნდა. დამწვარია 6 კვ.მ ფართობი.

ადგილზე მობილიზებული იყო 3 სანაძრო-სამაშველო ჯგუფი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

☎ 230 62 52; 599 16 10 82

იგოეთთან ოპელი გზიდან გადავარდა

4 მგზავრი დაშავდა

თბილისის მიმართულებით მოძრავი „ოპელის“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა იგოეთთან მოხდა. შემთხვევის შედეგად 4 მგზავრი დაშავდა, ისინი სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო, რაც მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ახმეტაში 86 წლის ნიკო გუშკაშვილს ეძებენ

ახმეტაში, სათიანოს დასახლების მცხოვრები 86 წლის მამაკაცი ნიკო გუშკაშვილი 12 ნოემბერს სახლიდან საქონლის სამწყემსად მინდორში წავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

მამაკაცს 4 დღეა, ოჯახი და პოლიცია ეძებენ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია და ინტენსიურ სამძებრო სამუშაოებში პოლიციასთან ერთად, სამაშველო ჯგუფებიც არიან ჩართული.

თეთრ სახლში საკადრო ცვლილებები მზადდება

დონალდ ტრამპის განცხადებით, თეთრ სახლში საკადრო ცვლილებები მზადდება. პირველი ნაბიჯები პრეზიდენტმა უკვე გადადგა. თანამდებობა დატოვა გენპროკურორმა სეშნსმა. პოსტს გამოეთხოვა ეროვნული უშიშროების საკითხებში ტრამპის მრჩევლის მოადგილე რენდელიც. მას ტრამპის მეუღლესთან მოუვიდა კონფლიქტი. ტრამპმაც რენდელი ცოლის თხოვნის შედეგად მოხსნა.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ ცვლილებები გაგრძელდება, თუმცა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს.

ამერიკული მედიის ცნობით, შესაძლოა, პოსტებს გამოეთხოვონ თეთრი სახლის აპარატის უფროსი კელი და შიდაუსაფრთხოების მინისტრი.

აშშ-მ საუდის არაბეთის 17 მოქალაქის მიმართ სანქციები შემოიღო

აშშ-მ საუდის არაბეთის 17 მოქალაქის მიმართ სანქციები შემოიღო. ამის თაობაზე აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა მნუჩინმა განაცხადა.

– ისინი ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილნი, – თქვა მნუჩინმა.

ზემოთ ხსენებულ პირებს შორის არიან საუდის არაბეთის პრინც ალ-სალმანის თანაშემწე ალ-კაჰტანი, საუდის არაბეთის გენერალური კონსული მოჰამად ალოთაიბი და ა.შ.

გიულენი შესაძლოა აშშ-დან გააძევონ

თურქი მქადაგებელი გიულენი შესაძლოა აშშ-დან გააძევონ.

აშშ-ის ხელისუფლებას აღიზიანებს თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის პოზიცია ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობასთან დაკავშირებით. გიულენის გაძევებით ვაშინგტონი შეეცდება, ერდოღანის გული მოიგოს და ჰაშოგის საქმესთან დაკავშირებით მისი პოზიციის შერბილებას მიაღწიოს. როგორც ცნობილია, ერდოღანი ჰაშოგის მკვლელობაში საუდის არაბეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს.

გიულენი კარგა ხანია აშშ-ში დევნილობაში ცხოვრობს. ერდოღანის ხელისუფლება მას პუტჩის ორგანიზებას სდებს ბრალად.

წითელი კხმერების ლიდერებს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

გაეროს სპეცტრიბუნალმა წითელი კხმერების ლიდერები გენოციდში დამნაშავედ აღიარა.

ნუონ ჩეასა და კხიუ სამჰანს სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

ისინი კარგა ხანია, ციხეში ისხდნენ, ოღონდ სხვა მუხლით.

წითელი კხმერები კამბოჯის ხელისუფლებაში 1975-79 წლებში იყვნენ. მათ მიერ გაჩაღებული ტერორის შედეგად 2 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა.

რუმინეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ევროკავშირის ინსტიტუტებს შუათითი აჩვენა

რუმინეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა ფლორინ იორდაკემ ევროკავშირის ინსტიტუტებს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას შუათითი აჩვენა.

მისი ეს ქმედება ევროკომისიისა და ევროპარლამენტის მხრიდან რუმინეთის სასამართლო რეფორმის კრიტიკას მოჰყვა.

– ევროკავშირის აბსურდული მოთხოვნები, რომლებიც უცნობმა ექსპერტებმა გაახმოვანეს, რუმინეთის სასამართლო სისტემას დაბლოკავენ და აიძულებენ ბუქარესტს, გააუქმონ ახალი კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების დანიშვნაზე, – განაცხადა რუმინეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა.

ევროპარლამენტში პლენარულ სესიაზე განაცხადეს, რომ რუმინეთის მთავრობა რისკის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას და ასუსტებს კანონის უზენაესობას.

ზიმბაბვეში სამგზავრო ავტობუსში აფეთქებას 40 ადამიანი ემსხვერპლა

ზიმბაბვეში სამგზავრო ავტობუსში მომხდარი აფეთქების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, ერთ-ერთ მგზავრს გაზის ბალონი გადაჰქონდა, რომლის აფეთქების შედეგად ავტობუსში ხანძარი გაჩნდა.

ოცზე მეტი ადამიანი მძიმედ დაშავდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამერიკელი ხუთი წელი ლატარიას ერთი და იმავე ნომრებით ავსებდა და ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრები ხუთი წლის განმავლობაში ლატარიას თამაშობდა და ბილეთს ყოველთვის თავისი საყვარელი რიცხვებით ავსებდა. ბოლოს და ბოლოს კი მან ჯეკპოტი მოხსნა.

ბანჯამინ სინკლერმა, ქალაქ უინსტონ-სეილემის მცხოვრებმა, აღიარა, რომ ლატარიის ბილეთებს მხოლოდ მსხვილი ჯეკპოტის წინ ყიდულობს და ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე რიცხვებს წერს: 8-12-13-19-27, რომელთაც ის განსაკუთრებულს უწოდებს.

საყვარელი ნომრების კომბინაციამ ამერიკელს მილიონი დოლარის მოგება მოუტანა. მან გადაწყვიტა, მოგებული თანხა მაშინვე გადასახადების გადახდის შემდეგ მიეღო და არა მთლიანად რამდენიმე წლის განმავლობაში. საბოლოო ჯამში, მან დაახლოებით 705 ათასი დოლარი მიიღო.

მთვრალმა ენოტმა თავი პოლიციაში ამოყო

ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქალაქ მილტონში მთვრალი ენოტი დააკავეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პოლიციელები ცხოველის მოსაძებნად მას შემდეგ წავიდნენ, რაც მათ შეშფოთებულმა მოქალაქეებმა მიმართეს. მათ ყურადღება მის უცნაურ ქცევას მიაქციეს და შიშობდნენ, რომ ეს ცოფით იყო გამოწვეული. ცხოველის ახლოდან დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ ენოტმა ბლომად დამჟავებული ვაშლი შეჭამა და დათვრა.

მოქალაქეები პოლიციელებს დაეხმარნენ ცხოველის დაჭერაში, რომელსაც დალასი დაარქვეს. ის გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას სხვა ენოტი ელოდა, რომელიც უფრო ადრე დაიჭირეს. მოგვიანებით ცხოველები ტყეში წაიყვანეს და გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზაზა ნადირაძე: „ჩემთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ადგილი შედეგი არ არის“

1972 წელს, მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, საქართველოს მენიჩბოსნე ვიქტორ კრატასიუკმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. მას შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ხანგრძლივი ვარდნა გვქონდა. არათუ ოლიმპიადებზე, სხვა საერთაშორისო ტურნირებზეც ვერანაირ წარმატებას ვერ ვაღწევდით. მედალს ვინ ჩივის, წლების მანძილზე ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეც კი არ გვყოლია.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოჩნდა ზაზა ნადირაძე, რომელმაც ქართული ნიჩბოსნობა საერთაშორისო არენაზე ღირსეულად გაიტანა.

ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, წელს, პორტუგალიის ქალაქ მონტემორში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ზაზა ნადირაძეს 200 მეტრ დისტანციაზე ერთადგილიანი კანოეთი ასპარეზობაში მედლამდე სულ ცოტა დააკლდა.

– როგორ შეაფასებდით მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენს ასპარეზობას? რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგით?

– პორტუგალიაში, როგორც მინიმუმ, მედლის მოსაპოვებლად ჩავედი, ამიტომაც წაგებით კმაყოფილი არ შეიძლება ვიყო. შესაძლოა, ვინმესთვის ასეთ სერიოზულ ტურნირზე მეოთხე ადგილიც დადებითი შედეგი იყოს, მაგრამ არა ჩემთვის. გამოგიტყდებით და ვერ წარმოვიდგენდი თუ საპრიზო სამეულს მიღმა დავრჩებოდი.

– და რა იყო ამის მიზეზი? ფინალში უხეირო სტარტი ხომ არა?

– რა თქმა უნდა, ეგეც. ტელეეკრანებიდან ბევრი რამ სხვანაირად ჩანს, თუმცა ჩვენს სახეობაში ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც ექცევა ყურადღება. თუნდაც ის, რომ ფინალში ცუდი – მე-6 ზოლი შემხვდა. მარჯვენა მხრიდან ქარი უბერავდა, პირველ 3 ზოლში მყოფებს კი, ეს გარემოება ხელს არ უშლიდათ. ცუდი სტარტი იმანაც გამოიწვია, რომ ფინალს თითქოს გადაღლილიც შევხვდი. ჩვენ არ გვყავს ექიმ-მასაჟისტები, რომ გაცურვის შემდეგ ძალების სრულფასოვნად აღდგენაში დაგვეხმარონ. ყველაფერს ჩვენით ვაკეთებთ.

– ევროპის ჩემპიონის ტიტული დამატებით ტვირთად ხომ არ გაწვათ?

– რა თქმა უნდა, ეს ტიტული ძალიან მახარებს და ასევე ბევრს მავალდებულებს. არა, პირიქით, დამატებით სტიმულსაც მაძლევდა და მაჯერებდა, რომ თუ ევროპის ჩემპიონი გავხდი, იგივეს გაკეთება მსოფლიოზეც შემეძლო. სამწუხაროს, ისე მოხდა, რომ ვისაც სერბეთში, კონტინენტის პირველობაზე ვაჯობე, აქ მათ გადამასწრეს. ბელგრადში, ბელარუს, რუს და ლიტველ ნიჩბოსნებზე უკეთ ვიასპარეზე, პორტუგალიაში კი, ასე ვთქვათ, სამივემ რევანში ამიღო. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

– ფინალში ნერვიულობდით?

– დამწყები სპორტსმენი აღარ ვარ, რაიმე მაშინებდეს. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ხარ, შინაგანად, რა თქმა უნდა, ღელავ, თუმცა მუხლები ნამდვილად არ მიკანკალებდა. მანამდე, კიდევ ერთმა ქართველმა ნიჩბოსანმა, ჩემმა მეგობარმა და უნიჭიერესმა სპორტსმენმა ბადრი ყაველაშვილმაც სასწაული შედეგი დადო და ფინალში გააღწია. ამან დამატებითი სტიმული შემმატა და სტარტზეც გაორმაგებული შემართებით მივედი, თუმცა... არ გამიმართლა. რაც ზემოთ გითხარით, იმ ხელისშემშლელი ფაქტორების გარდა, ორივე მხარზე ტრავმები მაწუხებდა და ყველაფერზე თავისი უარყოფითი გავლენა ალბათ ამანაც იქონია.

– ფინიშზე ნავის ამობრუნება რას დავაბრალოთ?

– ასეთი რამ ბევრს მოსვლია, ზოგი შეგნებულადაც აკეთებს. მთავარია, ნავის წვერი ფინიშის ხაზს შეეხოს და შემდეგ თუ გინდა წყალში ყირამალა გადახტი. მესამე ადგილოსანთან, ლიტველ ნიჩბოსანთან, იმდენად მიზერული სხვაობით წავაგე, რომ წყლიდან სანამ ამოვყვინთავდი, ბოლომდე მეგონა, რომ საპრიზოში მოხვედრა შევძელი, თუმცა, როდესაც დიქტორმა ტრიბუნებისკენ გამოძახებულთა შორის ჩემი გვარი არ ამოიკითხა, უზომოდ იმედგაცრუებული დავრჩი.

– 200 მეტრ დისტანციიდან 1.000-ზე გადასვლას როდის გეგმავთ?

– ერთი მეორეს ხელს არ უშლის. 200 მეტრზე ყოველთვის ვიასპარეზებ. რაც შეეხება 1.000 მეტრს, წელს უკვე აზრი აღარ ჰქონდა იქ ძალების მოსინჯვას, გაისად კი სერიოზულად დავიწყებთ მზადებას და ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად მაქსიმუმს გავიღებ.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით?

– სეზონი დასრულდა. წლეულს უკვე საწვრთნელი შეკრებები აღარ გვექნება, გაისად კი, რა თქმა უნდა, ახალი ენერგიით დავიწყებთ მზადებას. ჩემი მთავარი საფიქრალი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და თუ სად და როდის გავივლით შეკრებებს, ჯერ არ დაგვიგეგმავს.

– ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სახელმწიფოსგან, სპორტული სტრუქტურებისგან ხელშეწყობას თუ გრძნობთ?

– ხელფასი მანამდეც მქონდა, მაგრამ როგორც კანონში წერია, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებულ სპორტსმენებს სახელმწიფოსგან პრემიებიც ეკუთვნით, რომელსაც ალბათ წლის ბოლოს ჩაგვირიცხავენ. რაც შეეხება ოლიმპიურ კომიტეტს, მან სტიპენდია 2017 წელს დამინიშნა.

უხარისხო ფრე ანდორასთან

ანდორა-საქართველო 1:1

ანდოხა. ესტადი ნასიონალი

0:1 ჩაკვეტაძე (9), 1:1 მარტინესი (63)

ანდორა: გომესი, ჩ.მარტინესი (გარსია 90), უოლესი, რებესი, ლიმა. ა.მარტინესი, ფერნანდესი (როდრიგესი 81), სან ნიკოლასი, ცერვოსი (ხ. რუბიო 89), ხ. რუბიო, ლოვერა

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, ტაბიძე, ნავალოვსკი, გვილია (ზარანდია 88), კვეკვესკირი, კიტეიშვილი (ჭანტურიშვილი 77), ჩაკვეტაძე, ყაზაიშვილი, არაბული (კაჭარავა 77)

საქართველოს ეროვნული გუნდის 19 წლის ვუნდერკინდმა, გიორგი ჩაკვეტაძემ ანდორის ნაკრებს მე-9 წუთზე გაუტანა და ყველამ იფიქრა, რომ საქართველოს ნაკრები ისევ გააგრძელებდა იმ წარმატებულ სვლას, რაც ერთა ლიგაში დაიწყო. თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც დაგეგმილია. ბურთი ხან ერთ კარში შეგორდება, ხანაც – მეორეში. მე-2 ტაიმში სწორედ მეორეში შეგორდა და მატჩი საბოლოოდ ფრედ მორჩა.

არადა, ჩვენი ნაკრები ანდორას დიდ გულზე ეწვია. აქაოდა, ყველა შეხვედრა მოგებული გვაქვს, რასაც ანდორაში გავაგრძელებთ და კარსაც მშრალად შევინახავთო. არ გამოვიდა – ჯგუფში ყველაზე სუსტ მეტოქესთან ვერაფერი გავაწყვეთ და მხოლოდ ქულა წამოვიღეთ. პლუს, კარიც ვერ შევინახეთ მშრალად.

კარზეა საუბარი და ის ერთადერთი გოლი მეკარის, გიორგი ლორიას მიუტევებელი შეცდომის შედეგად გავუშვით. ეს არც პირველი შემთხვევაა და არც სათამაშო ფორმაში მყოფი ლორიასთვის ყოფილა უცხო. სადღეისოდ კი, საქართველოს ნაკრების მეკარე 7 თვის უთამაშებელია.

ყველაფერთან ერთად, ვლადიმირ ვაისმა ექსპერიმენტებს მიმართა. ამის უფლებას ვერავინ დაუშლიდა, რადგან საქართველოს ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა. თუმცა, ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ საქართველოსა და ანდორის ნაკრებების სათამაშო დონეებს შორის სერიოზული სხვაობა ექსპერიმენტული შემადგენლობითაც დიდია. ამიტომ, გამარჯვებას მაინც ველოდით.

კიდევ ერთი ის, რომ მატჩი ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა, რაც ჩვენი ფეხბურთელებისთვის ალბათ სასიამოვნო არ იყო, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ჯგუფში პირველი თამაში ყაზახეთთან, სწორედ ასეთივე საფარზე გავმართეთ და გაცილებით ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

რაც შეეხება ექსპერიმენტებს: დაცვის ხაზში კვირკველია -კაშიას ნაცვლად, ტაბიძე-ხოჭოლავა ვიხილეთ, ცენტრში მოქმედებდა კიტეიშვილი-გვილიას დუეტი, ხოლო ფორვარდად ბაჩო არაბული. ჯაბა კანკავასა და გურამ კაშიას არყოფნაში კაპიტნობა გიორგი ნავალოვსკიმ ითავა.

ბურთს მუდმივად საქართველოს ნაკრები აკონტროლებდა, თუმცა ანდორის ნაკრების კართან სახიფათო მომენტები თითზე ჩამოსათვლელი შეიქმნა: გატანა შეეძლო არაბულს, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა ბურთი მიზანს.

მეორე ტაიმის დასაწყისში საქართველოს ნაკრების კუთხურს კიდევ ერთი სახიფათო მომენტი მოჰყვა. თუმცა, ამჯერად დავით ხოჭოლავამ ახლო მანძილიდან დაარტყა და ააცილა კარს.

ეს იყო და ეს... შემდეგ ანდორამ გაგვითანაბრა და ჩვენებიც კიდევ უფრო დიდი ძალებით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ვაისმა შეცვლებიც დააგვიანა, ამასთან, ვერ ვიტყვით რომ, გვიან შესული ფეხბურთელებიც იდეალური ვარიანტი იყო – ნიკა კაჭარავას, ვახტანგ ჭანტურიშვილისა და ლუკა ზარანდიას მოედანზე შესვლას სურათი არ შეუცვლია.

მოკლედ, ჩვენებმა პირველი ქულები დაკარგეს და ახლა ყაზახებთან მხოლოდ მოგება მართებთ, რათა ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდეთ, რათა ფლეი ოფში მასპინძლისა და მეტოქედ შედარებით სუსტი გუნდის სტატუსი ირგუნონ.

ჩვენივე ჯგუფში ყაზახეთმა შინ ლატვიელებს ვერ მოუგო – 1:1.

სატუხნინო მდგომარეობა:

1.საქართველო	5	4	1	0	10:1	13
2.ყაზახეთი	5	1	3	1	7:5	6
3.ლატვია	5	0	3	2	2:6	3
4.ანდორა	5	0	3	2	2:9	3

მილთონ ჰეიგმა სამოასთვის შემადგენლობა გამოაცხადა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა სამოასთან დღეს გასამართი შემოდგომის ტესტების მე-2 მატჩისთვის შემადგენლობა გამოაცხადა. მილთონ ჰეიგმა 23-კაციან განაცხადში 3 დებიუტანტი შეიყვანა – თედო აბჟანდაძე მოედანზე პირველივე წუთებიდან გავა, ხოლო გურამ გოგიჩაშვილი და ბექა გიგაშვილი თამაშში მარქაფიდან ჩაერთვებიან.

ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ ნათამაშები შემადგენლობიდან მილთონ ჰეიგმა შერკინება უცვლელი დატოვა: პირველ ხაზში მიხეილ ნარიაშვილს, ჯაბა ბრეგვაძეს და დუდუ ქუბრიაშვილს ვიხილავთ; მეორეში ნოდარ ჭეიშვილი და ლაშა ლომიძე შეწყვილდებიან; ხოლო მესამე ხაზში ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე და ბექა გორგაძე გაირჯებიან.

2 ცვლილება და ერთი გადაადგილებაა ხაზში. სოსო მათიაშვილი იტალიასთან მატჩში დაშავდა, სამოას წინააღმდეგ ვერ ითამაშებს და ფულბეკად ლაშა ხმალაძე გადაინაცვლებს, რომელიც ამპლუით მგეზავია. 10 ნომერის პოზიციაზე 19 წლის აბჟანდაძე დადგება. ცენტრში კვლავ თამაზ მჭედლიძისა და მერაბ შარიქაძის დუეტს ვიხილავთ, ფრთაზე თავის მესამე კეპს მოიხვეჭს ზურაბ ძნელაძე, ხოლო მეორე ფრთაზე გიორგი კოშაძის ნაცვლად გიორგი კვესელაძეს ვიხილავთ, რომელმაც ფლორენციაში შეცვლაზე ითამაშა.

3 ახალი სახეა მარქაფაში: როგორც გითხარით, 2 მათგანი დებიუტანტია. ორივე ბურჯია: 26 წლის ბექა გიგაშვილი გრენობლთან ერთად ტოპ 14-ში წელს აღზევდა, პირველსავე სეზონში 6 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 1 ლელო გაიტანა და ორჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. ტოპ 14-ში პირველ სეზონს ატარებს 20 წლის გურამ გოგიჩაშვილი, რომელმაც აბჟანდაძის დარად თავი უმცროს ბორჯღალოსნებში (20-წლამდელები) თამაშით გამოიჩინა, პარიზულ კლუბში თბილისის ლოკომოტივიდან წელს გადავიდა, ახალ გუნდში სწრაფადვე დამკვიდრდა და ტოპ 14-ის 7 მატჩის გარდა, ორჯერ ჩემპიონთა თასზეც ითამაშა.

კვაჭის პოზიციაზე თადარიგში ამჯერადაც შალვა მამუკაშვილია, მეორე ხაზში შალვა სუთიაშვილი, ხოლო მესამეში ბექა ბიწაძე შევა. 9 ნომრის შეცვლა გელა აფრასიძეა, ცენტრში ლაშა მალაღურაძე გამოჩნდება, ხოლო კიდევ ერთი უკანახაზელი ანზორ სიჭინავაა, რომელსაც იტალიასთან არ უთამაშია.

შეგახსენებთ, საქართველო სამოას ავჭალის რაგბის სტადიონზე დაუხვდება და შეხვედრა 18 საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

ძირითადი: ხმალაძე, კვესელაძე, შარიქაძე, მჭედლიძე, ძნელაძე, აბჟანდაძე, ლობჟანიძე, ნარიაშვილი, ბრეგვაძე, ქუბრიაშვილი, ჭეიშვილი, ლომიძე, გიორგაძე, ცუცქირიძე, გორგაძე

მარქაფა: სიჭინავა, მალაღურაძე, აფრასიძე, მამუკაშვილი, გოგიჩაშვილი, გიგაშვილი, სუთიაშვილი, ბიწაძე.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

„ჩაკვეტაძე ბარსელონას შეტევის გაძლიერებისთვის ნამდვილი აღმოჩენაა“

რას წერს ესპანური მედია

უეფას ერთა ლიგის ბოლოსწინა, მეხუთე ტურის მატჩს, რომელშიც საქართველომ ანდორასთან სტუმრად ფრე 1:1 ითამაშა, იყო ერთი დეტალი, რამაც ჩვენი ყურადღება კიდევ უფრო მიიქცია.

ანდორასთან მატჩს ბარსელონას წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ და საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ლიდერის, გიორგი ჩაკვეტაძის თამაში შეეფასებინათ.

როგორც სოციალურ მედიაში, ისე ესპანეთის საინფორმაციო სააგენტოებში, შეფასებები მატჩის შემდეგაც გაკეთდა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოცემა დიარიო სპორტი კი ჩაკვეტაძის კატალონიურ გრანდში გადაბარგებას მთავარ გვერდზე ვრცელ მასალას უძღვნის.

– საფეხბურთო კლუბი ბარსელონა გუნდის შეტევის გაახალგაზრდავებასა და გაძლიერებას აქტიურად ცდილობს. ამიტომ, კლუბის წარმომადგენლები სანაკრებო პაუზისათვის განკუთვნილ დღეებს მატჩებზე დასასწრებად იყენებენ. ამჯერად, სკაუტები რამდენიმე ადგილას გაგზავნეს, ერთ-ერთი მათგანი კი ანდორასა და საქართველოს მატჩი იყო.

ჩაკვეტაძე საქართველოს ახალი აღმოჩენაა. ბარსელონაში მას წელიწადზე მეტია აკვირდებოდნენ და მისი ხილვა ცოცხლად სურდათ, რათა მათი მოლოდინების სისწორეში დარწმუნებულიყვნენ. ასეც მოხდა. ქართველმა შემტევმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მან აჩვენა კატალონიელებს, რომ ამ ყურადღებას იმსახურებს.

ჩაკვეტაძე, რომელიც 1999 წელს დაიბადა, თბილისის დინამოდან გენტში 2018 წელს გადაბარგდა და ბელგიის ჩემპიონატის პირველ ლიგაში 5 გოლის გატანა შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. ბელგიის ჩემპიონატთან ადაპტაციის პირველ წელიწადს მას საკმარისი სათამაშო დრო არ ჰქონდა, თუმცა შემდეგი სეზონიდან ამ გუნდის შეუცვლელი ფიგურა გახდა. მიმდინარე სეზონში ჩატარებული 15 მატჩიდან ის მხოლოდ ორში შეცვალეს, ამ შეხვედრებში მან 4 გოლის გატანა და 2 საგოლე პასის მოგროვება მოასწრო.

ჩაკვეტაძე არის ბრწყინვალე უნარების მქონე მოთამაშე, რომელსაც როგორც გამთამაშებლის, ისე მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში შეუძლია. მას ფლანგიდან ცენტრში და დაცვიდან შეტევაში გადასვლა მოედანზე გადაადგილების, სიჩქარისა და სივრცეების გათავისუფლების კარგი უნარის წყალობით გამოსდის. სიჩქარის ცვლილებისა და კარგი მართვის მეშვეობით მას ბოლომდე უპრობლემოდ გასვლა შეუძლია. ჩაკვეტაძე ორივე ფლანგზე თავისუფლად თამაშს ახერხებს, მისი შეჩერება კი ნებისმიერი მცველისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს.

ის შესაძლოა ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდეს, თუმცა, ამის მიუხედავად, დაცვის გარღვევას მარტივად ახერხებს. ბარსელონას შეტევის გაძლიერებისა და გუნდის პროგრესისთვის ჩაკვეტაძე ნამდვილი აღმოჩენა და გასაღებია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ასტროპროგნოზი

17 ნოემბრისათვის

ვერძი – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **კურო** – ნერვები მოთოკეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. **ტყუპები** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობა ყალიბდება. ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი პერიოდია. დღის პირველ ნახევარში სასიამოვნო შეხვედრა გელით. საღამოს საკუთარი ქედმაღლობის გამო პრობლემები შეგექმნებათ. **ქალწული** – თავი აარიდეთ ინტრიგან და შურიან ადამიანებთან ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ღრიანკალი** – ილუზიებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. გულიდან განაგდეთ ყოველგვარი ბრაზი და ბოღმა. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფასა და ზნეობრიობაზე იზრუნეთ. წვრილმანებს ნუ გამოედევნებით. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. კონფლიქტი გარშემომყოფებთან სტრესსა და შფოთვას გამოიწვევს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი.

18 ნოემბრისათვის

ვერძი – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **კურო** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **ტყუპები** – მძიმე დღეა. აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა საზიანო იქნება. ახალი იდეების რეალიზება სხვა დროისათვის გადადეთ. **კირჩხიბი** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. მიუტევეთ და მოგეტევებათ. **ლომი** – კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისათვის, რომანტიკული შეხვედრებისათვის. თქვენს ნიჭსა და უნარს დღეს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **ქალწული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ძველი წყენის გახსენება და საქმის გარჩევა კონფლიქტს გამოიწვევს. მოთოკეთ ემოციები და ცივი გონებით იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისათვის. იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები. **თხის რქა** – კატეგორიულობა და სიხისტე კარგს არაფერს მოგიტანთ. ერიდეთ ინდივიდუალურ საქმიანობას. **მერწყული** – მხედველობას ნუ დაძაბავთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **თევზები** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

პენსიონერი წყვილი კარგ ჯანმრთელობას „მაკდონალდსის“ კერძებს უმადლის

ხანდაზმულმა ბრიტანელმა წყვილმა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემების არქონა „მაკდონალდსის“ რესტორანში რეგულარული კვებით ახსნა.

სომერსეტის საგრაფოს ქალაქ ბატის მცხოვრები ტომ და პაულინა ჯონსები უკვე 23 წელია, თითქმის ყოველდღე „მაკდონალდსში“ დადიან. 83 წლის მამაკაცი და მისი 82 წლის მეუღლე მათი სახლის მახლობლად მდებარე სწრაფი კვების ქსელის რესტორანს თავიანთ „მეორე სახლად“ მოიხსენიებენ. იქ მისასვლელად კი ისინი ყოველდღე ფეხით ოთხ კილომეტრს გადიან.

– ჩვენ დილის 8:30 საათზე ყავას ვსვამთ, შემდეგ მაღაზიებში მივდივართ, ხოლო 10 საათისთვის სასადილოდ ვბრუნდებით, – განაცხადა პაულინამ. ტომმა კი დაადასტურა, რომ კვირაში შვიდ დღეს რესტორანში მიდიან. ისინი ამ ტრადიციას მხოლოდ მაშინ არღვევდნენ, როდესაც შვებულებით სხვაგან მიემგზავრებოდნენ.

ტომი რეგულარულად შეექცევა ბიგმაკს, ხოლო პაულინა კერძს განწყობის მიხედვით ირჩევს: მას შეიძლება მოუნდეს როგორც ქათმის ნაგეთსები, ისე როლა ქათმით ბარბეკიუს სოუსში.

ქალმა „მაკდონალდსის“ მენეჯერს კეტჩუპის გამო სცემა

„მაკდონალდსის“ რესტორნის მომხმარებელმა დაწესებულების მენეჯერს იმის გამო სცემა, რომ მან კეტჩუპის მიყიდვაზე უარი განუცხადა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საერთაშორისო სააგენტომ გამოაქვეყნა.

კონფლიქტი კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-ანაში 27 ოქტომბერს მოხდა, თუმცა პოლიციამ ამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გაავრცელა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერი გამოაქვეყნა.

ქალი „მაკავტოში“ მივიდა, თუმცა მანქანიდან გადმოვიდა, სამზარეულოში თანამშრომლებისთვის განკუთვნილი კარიდან შევიდა და მისთვის კეტჩუპის მიცემა მოითხოვა. როდესაც მენეჯერმა დაწესებულების დატოვება მოსთხოვა და განუცხადა, რომ მას იქ ყოფნის უფლება არ ჰქონდა, გოგონა მას თავს დაესხა, ხელი ჰკრა, ცემა და დახრჩობა დაუწყო.

ჩხუბში დაწესებულების სხვა თანამშრომლები ჩაერივნენ, შემდეგ რესტორანში ქალის თანამგზავრი შეიჭრა, ის მენეჯერს მოაშორა და შემდეგ ერთად დატოვეს იქაურობა.

პოლიციამ წყვილზე ძებნა გამოაცხადა.

91 წლის ამერიკელი ცოლისთვის კოცნის მცდელობის გამო დააპატიმრეს

ამერიკის კონექტიკუტის შტატის 91 წლის მკვიდრ ჰაინც ფონკუზის ვიზიტი მეუღლესთან ხანდაზმულთა სახლში მისი დაპატიმრებით დასრულდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის გამოძახების მიზეზი გახდა მამაკაცის მცდელობა, მეუღლისთვის ეკოცნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ქალაქ ფერფილდში მდებარე ხანდაზმულთა სახლში მოხდა. როდესაც პოლიციელები ადგილზე მივიდნენ, მამაკაცი მშვიდად იდგა მეუღლის ოთახში. დაწესებულების თანამშრომელმა განაცხადა, რომ ფონკუზის მეუღლისთვის კოცნა აკრძალული აქვს, ვინაიდან მას შესაძლოა ქალს პირით რაიმე გადასცეს.

პოლიციელების თქმით, ისინი ძალიან არ გაუოცებიათ ამ გამოძახებას, ვინაიდან ფონკუზი ანალოგიური ქმედებისთვის უკვე 26-ჯერ იყო დაპატიმრებული.

მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და სახლში გაუშვეს, თუმცა სასამართლოში გამოცხადება დააკისრეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. საშობაო სიმღერა; 3. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 4. დნმ-ის აღმომჩენი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 9. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 12. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 14. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 15. ფრანგული ავტომობილი; 17. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 18. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

თარაზულად: 6. ღვარძლიანი, ბოროტი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დანი; 2. პუარო; 3. ოძეკი; 5. ცერული; 6. თეოლოგია; 9. დეიტერიუმი; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. გნუ; 16. სესილი; 18. პინო.

თარაზულად: 1. დნიპრო; 4. ცუცხვათი; 7. საირმე; 8. კარფური; 12. პიეტა; 13. იგრიკა; 17. აია; 19. ლეიკოციტები; 20. ვისკი; 21. ბოტასი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პატენტი; 2. ბროლი; 3. ბოტიჩელი; 4. ბულბული; 5. ქონდაქარი; 9. მითანა; 12. მალხაზი; 14. ნუნცია; 15. გეთი; 17. დვირი; 18. ალტი.

თარაზულად: 6. ნადური; 7. კონსულო; 8. ვექილი; 10. დუბნა; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. რაპიდი; 19. ლოკატორი; 20. მაგელანი.

დათო ევგენიძე კონცერტს გამართავს თეატრში, სადაც მოცარტი უკრავდა

კომპოზიტორი და პოეტი დათო ევგენიძე კონცერტს გამართავს იმ თეატრში, სადაც მოცარტი უკრავდა.

ხელოვანის თქმით, ეს მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცერტია.

რომის ძველისძველ უბანში მდებარეობს უძველესი თეატრი, სადაც დათო ევგენიძის კონცერტი ჩატარდება.

„ქუჩის ბიჭები“ და ნინი ქარსელაძე მსმენელმა გააკრიტიკა

მომღერალმა ნინი ქარსელაძემ და ჯგუფმა „ქუჩის ბიჭებმა“ ბათუმში სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა და სიმღერა „გული ელოდება“ შეასრულეს.

დუეტი მსმენელმა გააკრიტიკა და მათი პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დააყენა.

ბრალდებებს „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ირაკლი ნოზაძე გამოეხმაურა:

– არ მივცემ თავს უფლებას ვინმეს სმენა გავუსინჯო და, მით უმეტეს, არც თავის მართლებას დავიწყებ. დამწყები მომღერლები რომ ვიყოთ, გასაგები იქნებოდა. მოკლედ მოხდა ის, რაც მოხდა. ადამიანები ვართ და ყველაფერმა იმოქმედა ამ დროს ჩვენზე.

ბოლო დროს სიძულვილით და დაუმსახურებლად ლანძღვაგინებამ თავისი გავლენა იქონია ჩვენზეც. ადამიანები ვართ და მაგიტომ. გვტკივა ის, რაც თქვენ გტკივათ. განვიცდით იმას, რასაც თქვენ. ჩვენ თქვენნაირები ვართ. თქვენი ნაწილი, ისევე, როგორც თქვენ ხართ ჩვენი განუყოფელი ნაწილი. ასე რომ, თქვენ გადაწყვიტეთ, აწი უნდა გვლანძღოთ თუ გვაქოთ! ჩვენ მაინც გვეყვარებით ყველა! მადლობა!

ელისო ვირსალაძე კლასიკური მუსიკის ალტერნატიულ სივრცეში დაკვრის მომხრეა

ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე კლასიკური მუსიკის ალტერნატიულ სივრცეში შესრულების მომხრეა.

კლასიკური მუსიკის ცენტრი სამხატვრო ხელმძღვანელი ახალი გრძელვადიანი პროექტის განხორციელებას იწყებს სახელწოდებით „კლასიკური მუსიკა ალტერნატიულ სივრცეში“.

ელისო ვირსალაძე:

– რატომ ალტერნატიული სივრცე? ტრადიციულად კლასიკური მუსიკის კონცერტები საკონცერტო დარბაზებში ტარდება. ასეთი კონცერტები ოფიციალურ ხასიათს ატარებს, აუდიტორიასა და მუსიკოსს შორის გარკვეული დისტანცია არსებობს, თავად დარბაზი კი გარკვეულ ქცევის წესებს გვკარნახობს. ალტერნატიულ საკონცერტო სივრცეში მსმენელი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს – უფრო კამერულია გარემო, მსმენელს აქვს სრული შეგრძნება, რომ მუსიკოსი კონკრეტულად მისთვის ასრულებს ამა თუ იმ ნაწარმოებს. იმის მიხედვით, თუ სად ტარდება კონცერტი, იქმნება მხოლოდ ამ ადგილისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო და ეს ატმოსფერო არა მარტო აუდიტორიაზე ახდენს გავლენას, არამედ მუსიკოს-შემსრულებლებზეც. კლასიკური მუსიკის ცენტრი მოხარულია, რომ ამ პროექტის პირველი კონცერტების ციკლი ტარდება განსაკუთრებულ ადგილას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ეძღვნება.

მიშო სულუხია იური მეჩითოვს საქართველოდან წასვლას ურჩევს

მომღერალი მიშო სულუხია ფოტოგრაფ იური მეჩითოვს საქართველოდან წასვლას და თბილისის ნაცვლად ერევნის ფოტოების გადაღებას ურჩევს:

– იური მეჩითოვი თითქოს შემეცოდა კიდეც, რომ სიბერეს სი.ლევით უპასუხა. თუმცა ასეთ სიბერეს იმსახურებს ადამიანი.

მთელს ცხოვრებას რომ ერთ ქვეყანაში გაატარებ, ეს ქვეყანა გაქცევს კაცად და შემდეგ ხელოვანად, თუმცა ბოლოს ფეხი აგიცდება, თან ფეხის აცდენაც არსებობს, და გამარჯობას მხოლოდ იმიტომ გეტყვიან, რომ ქართველებისთვის სალამი ღვთისაა ...

წადი ბიძია იურა, წადი... გადაიღე ერევანი. თბილისი არაა შენი საქმე.

„ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსის გამარჯვებულები გამოვლენილია

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა „ლეონარდო და ვინჩის“ წლევანდელი კონკურსის საკონკურსო კომისიამ, დასკვნით ეტაპზე წარდგენილი 18 საკონკურსო განაცხადი შეაფასა და კონკურსში გამარჯვებულები გამოავლინა. კონკურსზე წარდგენილი 38 საკონკურსო განაცხადიდან კონკურსის დასკვნითი ეტაპისთვის შეირჩა 18 ნამუშევარი, რომლებიც „თიბისი ბანკის“ გალერეაში გამოიფინა. გამოფენაზე კონკურსანტები დამთვალიერებლების წინაშე წარდგნენ ნამუშევრების პრეზენტაციებით. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის მოსწავლეები მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით მთელი საქართველოდან.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ლიეტუვას თეატრმა სპექტაკლი მიუძღვნა

ლიეტუვაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად, ზუგდიდში, ლიეტუვას ქალაქ ნაისაის თეატრმა სპექტაკლი „გზა სამოთხისკენ“ გამართა.

ღონისძიება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის და ლიეტუვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მეასე წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს საელჩოს მიერ ლიეტუვაში გამართული ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში ტარდება.

თეატრი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უფასო სპექტაკლებს გამართავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებელი მუშაკი, აფხაზეთის საგანგებო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერი, ჭეშმარიტი პატრიოტი

თემურ გაბისონია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები გიორგი და ნინო დემეტრაძეები ოჯახებით, შვილიშვილები ანი მანაგაძე, ნატალია დემეტრაძე, შვილთაშვილები ელენე, ნუცა, მარიამი, მეუღლის ძმა თამაზ კუჭავა ოჯახითურთ ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის მამა

შალვა დემეტრაძე

პანაშვიდი: 16, 17 ნოემბერს, მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11, სართული 2.

გამოსვენება: 18 ნოემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ერთგული ძაღლი პატრონს მისი დაღუპვის ადგილზე 80 დღეა უცდის

ჩინეთში ძაღლი უკვე 80 დღეა, თავის პატრონს მისი დაღუპვის ადგილზე ელოდება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან მოყოლებული, ძაღლს ქალაქ ხუხ-ხოტოში გზის პირას ხედავენ, რომელიც შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონში მდებარეობს.

– უკვე თითქმის სამი თვეა, რაც ის აქ გამოჩნდა. ძაღლი მუდმივად აქ არის, მნიშვნელობა არ აქვს, მზე ანათებს თუ წვიმს. ეს ძალიან გულისშემძვრელია, – განუცხადა ჟურნალისტებს ტაქსის მძღოლმა გო სინხუამ. მისი ვარაუდით, ძაღლი აქ ელოდება თავის პატრონს, რომელიც ამ ადგილას ავარიის შედეგად 21 აგვისტოს, დილით დაიღუპა.

მან ასევე დაამატა, რომ რამდენჯერმე შეეცადნენ, ცხოველისთვის საჭმელი მიეცათ, მაგრამ ის გაურბოდა, როგორც კი მასთან მიახლოებას ცდილობდნენ, ხოლო როგორც კი ისინი მიდიოდნენ, ძაღლი უკან ბრუნდებოდა.

ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლები ცდილობენ, დაღუპულის ნათესავებს დაუკავშირდნენ, რათა მათ ძაღლი სიცოცხლეების დადგომამდე წაიყვანონ, ხოლო თუ ისინი მასზე უარს იტყვიან, მაშინ ძაღლისთვის ახალ პატრონს მოძებნიან.

ინდოელ ქალს მუცლიდან კილო-ნახევარი ნივთები ამოუღეს

ინდოეთში ექიმებმა პაციენტს საჭმლის მომნელებელ სისტემაში კილო-ნახევარი წონის სხვადასხვა ნივთი აღმოუჩინეს, მათ შორის კაკლები, ჭანჭიკები და საიუველირო ნაკეთობები.

ქალმა, სახელად სანგიტამ, გუჯარატის შტატის ქალაქ ახმადამადის საავადმყოფოს მუცლის არეში ძლიერ ტკივილებზე ჩივილით მიმართა. ქირურგმა ნიტინ პარმარმა, რომელმაც ქალი გასინჯა, განაცხადა, რომ მას „ანომალიურად მკვრივი“ მუცელი ჰქონდა.

ორმოცი წლის ქალი რენტგენზე გასაშუქებლად გააგზავნეს. სურათმა აჩვენა, რომ მის საჭმლის მომნელებელ სისტემაში უამრავი უცხო სხეული იყო: ლითონის ელვაშესაკრავები, სპილენძის ბეჭდები და ინგლისური ქინძისთავიც კი. ეს უკანასკნელები ფილტვებიდან იყო გამოჩრილი და კუჭის კედელში შერჭობილი. ქირურგმა ოპერაციის დაუყოვნებლივ გაკეთების გადაწყვეტილება მიიღო.

ექიმებს სამი საათის განმავლობაში ამოჰქონდათ ქალის მუცლიდან უამრავი საგანი. ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოს თანამშრომლები შეეცადნენ, ქალის ნათესავები მოეძებნათ, თუმცა უშედეგოდ. სანგიტა სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მისი მდგომარეობა დასტაბილურდა.

საავადმყოფოს თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ ქალს იშვიათი ფსიქიკური აშლილობა – აკუფაგია სჭირს, რომლის დროსაც ადამიანს სხვადასხვა ნივთის გადაყლაპვის დაუოკებელი სურვილი უჩნდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7045	ევრო — 3.0474
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4931	100 რუსული რუბლი — 3.9893

ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისთვის

ჟორდი ალბა ბარსელონასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



ბარსელონას განაპირა მცველი ჟორდი ალბა კატალონიურ კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს და გუნდში 2020 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ზაფხულში იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ალბა ინგლისში წავიდოდა, მაგრამ ბარსელონამ ის არ გაუშვა. ალბა ბარსელონას ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია და ის კატალონიურ გუნდში უკვე მე-7 სეზონს ატარებს.

ამ ხნის მანძილზე ალბა თითქმის ყოველთვის თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში და მისი სტატუსი ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა.

ლოვრენმა სერხიო რამოსს დასცინა



ხორვატიის ნაკრების მცველმა დეიან ლოვრენმა ესპანეთთან გამარჯვების შემდეგ სერხიო რამოსს დასცინა და თქვა, რომ რამოსს მხოლოდ პრესკონფერენციებზე შეუძლია ტრაბახი. ლოვრენმა ესპანეთთან მატჩის შემდეგ თავის ინსტაგრამზე ლაივი ჩართო, სადაც რამოსზე განცხადება გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ ლოვრენი სერხიო რამოსს აშკარად ერჩის, რადგან რამდენიმე კვირის წინ ხორვატმა მცველმა განაცხადა, რომ რამოსი მასზე მეტ შეცდომებს უშვებს, უბრალოდ რეალში მისი შეცდომები ნაკლებად შესამჩნევია.

ოლივიე ჟირუმ აზარი შეაქო

ჩელსის ფრანგმა ფორვარდმა ოლივიე ჟირუმ ედენ აზარი შეაქო და თქვა, რომ აზარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დრიბლიორია. ჟირუს თქმით, მისთვის შოკისმომგვრელი იყო პირველად აზარის ნახვა ვარჯიშზე და ის, თუ რამდენად კარგად ფლობდა აზარი ბურთს:

– აზარის თამაში მანამდეც ნანახი მქონდა, მაგრამ როცა ვარჯიშზე ჩემი თვალით ვიხილე თუ როგორი დრიბლინგი ჰქონდა მას, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აზარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პატრონმა კატას ქართული სიმღერების შესრულება ასწავლა

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგის მცხოვრებმა იური მერეჟკომ ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც მისი კატა „მღერის“.

– როდესაც შენმა კატამ ერთი-ორი ქართული სიმღერა ისწავლა და მათი შესრულება გადაწყვიტა, – დაწერა ვიდეორგოლის კომენტარში მერეჟკომ.

ვიდეოს კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლებმა დაამატეს, რომ კატა სუფრულ სიმღერებს ასრულებს. ზოგიერთმა ინტერნეტმომხმარებელმა კი ეჭვი გამოთქვა, რომ კატა ღვინით ან კუნელის ნაყენით დაათვრეს.

იუმორი

დაქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– რა ცუდადაა ეს ქვეყანა მოწყობილი.

– რას გულისხმობ?

– ყველაფერი, რაც მომწონს, ან მასუქებს, ან უზნეობად ითვლება!

•••

მასპინძელი სტუმრად მისულ მეგობარს ეუბნება:

– დილიდან ცუდად ვგრძნობ თავს.

– რა გჭირს?

– ბიჭო, პახმელიაზე ვარ და ხელები მიკანკალებს. პერანგის ჩაცმა დავაპირე და ყველა ღილი მოწყდა, ჩანთას დავავლე ხელი და სახელური მოსძვრა...

– მერე?

– ტუალეტში შესვლის მეშინია...

•••

კაცს აყაჩაღებენ, წაართვეს ფული, მანქანა, გახადეს ტანსაცმელი და ბოლოს ცემა დაუწყეს. ის გაკვირვებული ეკითხება:

– რეიზა მირტყამთ, ძამა, მოსვლა დავაგვიანე?

•••

ქმარი ცოლს გაკვირვებული ეკითხება:

– რას აკეთებ?

– გუშინ ექიმმა მითხრა, რომ ყურადღება უნდა მივაქციო იმას, თუ როგორ ვიკვებები.

– მერე?

– ჰოდა, ამიტომაც ვჭამ სარკის წინ...

•••

პალატაში შესულ ექიმს პაციენტი მიმართავს:

– ექიმო, გადავრჩები?

– ფუ შენი, ცოცხალი ყოფილა, კინაღამ გული გამისკდა.

•••

ცოლი მთვრალ ქმარს აძინებს.

– ქალო, რაია ის, ჩვენს თავზე რომ დაფრინავს? – ეკითხება ქმარი.

– ბუზია, დაიძინე.

– მერე, თეთრი რეიზაა?

– ღამის პერანგი აცვია...

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო, ამოცანის ამოხსნაში დამეხმარე, რა, თორემ შეიძლება კლასში ჩავრჩე.

– მიდი, აბა, გისმენ.

– 10 ბავშვზე 7 ცალი კარტოფილი როგორ გავანაწილო?

– როგორ და... პიურე მოუხარშე, მაგის დედაც მ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

გოგონა პლასტიკურ ოპერაციაზე ეკონომიამ კომაში ჩააგდო

ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებმა ლორა ავილამ პლასტიკური ოპერაცია ეკონომიის მიზნით მექსიკაში გაიკეთა და შედეგად რეანიმაციაში ამოყო თავი.

ოქტომბერში ავილა საქმროსთან ერთად მექსიკის ქალაქ სიუდად-ხუარესში რინოპლასტიკის გასაკეთებლად გაემგზავრა. პლასტიკური ქირურგის მომსახურება საზღვარგარეთ, მგზავრობის ხარჯების გათვალისწინებითაც კი, გაცილებით იაფი ჯდებოდა.

თუმცა ოპერაცია ანესთეზიოლოგის შეცდომის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა. ქალს გულის შეტევა დაემართა და ტვინის სიმსივნე განუვითარდა.

– გულის შეტევა ოთხი წუთი გრძელდებოდა. შემდეგ ლორა ხელოვნურ კომაში ჩააგდეს, რათა ტვინის სიმსივნის განვითარება აღეკვეთათ, რომელიც ანესთეზიასთან დაკავშირებული გართულების შედეგად წარმოიქმნა, – განმარტა გოგონას დამ ენჯიმ.

ამის შემდეგ ავილა პლასტიკური ქირურგიის საავადმყოფოდან ქალაქის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. გოგონას საქმრომ მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ მოახერხა მისი ამერიკის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. გოგონას ნათესავების თქმით, მექსიკელი ექიმები ავილას სამედიცინო ბარათის გაცემაზე უარს ეუბნებოდნენ, სანამ

მათ მათი მომსახურების თანხა ბოლომდე არ გადაიხადეს.

ამერიკელმა ექიმებმა ნათესავებს განუცხადეს, რომ გოგონას ტვინს გამოუსწორებელი ზიანი აქვს მიყენებული და ის ისეთი აღარასოდეს იქნება, როგორსაც მანამდე იცნობდნენ. მათ ნათესავებს შესთავაზეს მისი ან ხელოვნური სუნთქვითი აპარატიდან გამორთვა, ან იმის იმედად დარჩენა, რომ ის ოდესმე გონზე მოვა. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ის სრულფასოვანი ცხოვრებით ვერ იცხოვრებს.

ავილას ოჯახმა მეორე ვარიანტი აირჩია და თანხის შეგროვება დაიწყო მისთვის მკურნალობის გასაგრძელებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ბაქტერიების მშთანთქმელი, დამშლელი ვირუსი; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. სპირტიანი სასმელი; 5. ფულის სარგებლით გამესესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 6. უზბეკეთის დედაქალაქი; 9. ქართველი მეცენატი, ქველმოქმედი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ხელოვნების, მეცნიერების აღორძინება; 14. ცხიმში შებრაწული კარტოფილი; 16. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 1. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 4. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად; 7. გერმანული იმპერია; 8. თეთრი მელას ძველი სახელწოდება; 12. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 13. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 15. აეროპორტი მილანში; 17. წელიწადის მეთორმეტედი; 19. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 20. ოსური ცეკვა; 21. იაპონური მოტოციკლეტი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა